# თავისუფალი საქართველო

№2 (62)
28 იანვარი - 3 თებერვალი 1995 წ.
ინდექსი 66421
ფასი 500 რუბლის შესაბამისი კუპონი
გაზეთი რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ
სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუჰაჯირობა - დეპორტაცია - ევაკუაცია

აგერ უკვე თვეზე მეტია გრძელდება ჩეჩნების გააფთრებული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. ეს სასტიკი, სრულმასშტაბიანი ომია. თვეზე მეტია, რაც ჩეჩნეთის თემა არ სცილდება მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდს. სატელევიზიო და რადიო არხების გადაცემები იწყება ინფორმაციიებით რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გარშემო, ან იქ მიმდინარე მოვლენათა ანალიზით.

მსოფლიოს აინტერესებს ეს ომი. ძალზედ აინტერესებს. თუმცა, ამ ინტერესის საფუძველი ყველასთვის სხვადასხვაა. ზოგისთვის მთავარია თავად იდეის დისკრედიტაცია რუსეთის სამხედრო ძლიერების შესახებ, ზოგისთვის - რუსეთის მმართველ წრეებში გავლენიანი პოსტების გადანაწილების პროცესი. ვიღაცა ამ ომის ფონზე, ანუ ჩეჩენი ხალხის სისხლის ფასად, საკუთარი საქმეების მოგვარებას, საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფას ესწრაფვის: არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეს საქმეები ეკონომიკური ხასიათისაა და, რუსეთის საყოველთაო კრიზისის გარემოში, მასთან მომგებიანი გარიგების ხელმოწერას გულისხმობს, თუ პოლიტიკურ შინაარსს ატარებს, და ამის შედეგად, ვიღაც, თუნდაც გადემოკრატებული ან გასოცდემოკრატებული, კომუნისტური აღმოსავლეთ ევროპა "ნატოს" ჭერქვეშ თბილი ადგილის მოპოვებას ცდილობს.

არიან ისეთებიც, რომელთა კეთილდღეობა, ხშირად ოდენ პირადი კეთილდღეობა, რუსეთის იმპერიის ძლიერებაზეა დამოკიდებული. მათ შიშის ზარს ჰგვრის იმის გაფიქრებაც კი, რომ შესაძლოა დღევანდელი, ვითომდაც ძლიერი რუსეთისგან ხვალ უკვე აღარაფერი დარჩეს.

ამიტომ მთელ მსოფლიოს აინტერესებს ეს ომი. მთელი მსოფლიო უყურებს და... ხედავს იმ საარაკო გმირობას, რომელსაც ჩეჩენი ხალხი ავლენს ამ ბრძოლაში. ეს არაა ჩვეულებრივი ომი ორი ქვეყნის არმიებს შორის. ესაა ერთი ქვეყნის მთელი მოსახლეობის - ქალისა და კაცის, მდიდრისა და ღარიბის, ხეიბრისა და ჯანსაღის, - მთელი ერის თავგანწირული ბრძოლა მოძალადე მტერთან. ისეთი საბრძოლო გმირობები, რომელთა შესახებ მხოლოდ წიგნებში წაგვიკითხავს, ფილმებში გვინახავს, ლეგენდებიდან გვახსოვს, ისეთებიც კი, რომელთა სადარი საერთოდ არ გაგვიგია, აქ ჩვეულებრივი, რიგითი, ყოველდღიური მოვლენაა.

ბევრს, ალბათ, უკვირს, თუ როგორ შეიძლება უწვერული ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავგანწირვაში, ახლა როგორ ხდება, რომ ევროპაში თუ სადმე სხვაგან, ე.წ. თბილ ქვეყნებში წასულ შვილებს დედები სწერდნენ - შვილო, დაბრუნდი, შენი სიცოცხლე ახლა სამშობლოს სჭირდებაო... და ისინიც ბრუნდებიან, მორბიან, მოფრინავენ, მოფორთხავენ მთელი მსოფლიოდან, რათა, თუ ეს საჭირო გახდა, მიიღონ სიკვდილი თავისი მიწისთვის.

ყველას აინტერესებს ეს ომი. ზოგს უკვირს კიდეც და ვერ გაუგია, თუ რისთვის ჩაება მთელი ერი ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. რამ აიძულა მილიონიანი მოსახლეობა, იარაღით ხელში დაპირისპირებოდა რუსეთის უზარმაზარ სამხედრო მანქანას. ეგებ სჯობდა ცოტათი დათმობა, ცოტათი მოთმენა, ცოტა მეტის ატანა, მორიგება, გარიგება და ა.შ. ეს და მრავალი ამგვარი კითხვა შეიძლება ბევრს აწუხებს.

ბევრს, მაგრამ არა ჩეჩნებს. მათი ძლიერების ერთ-ერთი საფუძველი ისაა, რომ ეჭვის ჭია არ ღრღნით. მათი ბრძოლა რუსეთთან არც გუშინ და არც გუშინწინ არ დაწყებულა. მათ აქვთ ამ ბრძოლის გამოცდილება და იციან, რომ ეს არ არის არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის, გაჭირვებასა და კეთილდღეობას შორის. რუსეთმა ისინი და, საერთოდ, კავკასია სიკვდილისა და სიცოცხლის, ყოფნისა და არყოფნის ალტერნატივის წინაშე დააყენა. ჩეჩნებმა არჩევანი სიცოცხლეზე გააკეთეს. მათ იციან, რომ ყოველი დათმობა თავისუფლების ხარჯზე, ნახევარი ნაბიჯიც კი მონობისკენ, არის გზა ლპობის, გახრწნისა და სიკვდილის. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ დროში, რომელ საუკუნეში ან რა ეპოქაში დაგაყენებს განგება ამ არჩევანის წინაშე. გენოციდი, დეპორტაცია, ცოცხლად დამარხვა ან მონად გაყიდვა - ეს ცნებები ისტორიულ წარსულს როდი ჩაბარდა. იგივე და ბევრად უარესი დღესაც ხდება. ხდება საჯაროდ, აშკარად, მთელი "დემოკრატიული" მსოფლიოს თვალწინ. ოღონდ იმას, რასაც ადრე მუჰაჯირობა, მოგვიანებით კი დეპორტაცია ერქვა, დღეს სხვა სახელი უწოდეს - ვთქვათ, ევაკუაცია.

ჩეჩნებმა მშვენივრად უწყიან ამის შესახებ და ამიტომაც მათი არჩევანი მტკიცეა - ესაა ბრძოლა, თავდადებული ბრძოლა და, თუ საჭირო იქნა, სიკვდილიც. მიზანი კი, რომელიც ამართლებს ამ მსხვერპლს, თავგანწირვას, არის სიცოცხლე.







ჩვენს მიერ წარმოდგენილ რუსეთის მთავრობის ორივე დოკუმენტში ჩეჩენი ხალხის მიმართ გამიზნულ ქმედებას ეწოდება "ლტოლვილთა ევაკუაცია". საგულისხმოა, რომ ჩერნომირდინის განკარგულება დათარიღებულია 1994 წლის 1 დეკემბრით, ხოლო შოიგუს უწყებაში შედგენილი გეგმის თანახმად ე.წ. ევაკუაციისათვის მზადების საწყის ვადად მითითებულია 2 დეკემბერი; ანუ ის პერიოდი, როდესაც რუსეთი ჯერ კიდევ არ აწარმოებს დამანგრეველ სახმელეთო და საჰაერო ოპერაციებს ჩეჩნეთში. ამ დოკუმენტებით განსაზღვრული ევაკუაციის მასშტაბები, მობილიზებული სამოქალაქო თუ სამხედრო უწყებების, სარეზერვო ფონდისა და სასიცოცხლო დარგების ხარჯზე გამოყოფილი თანხების რაოდენობა, აგრეთვე ევაკუაციის ფორმა - განსახლების ადგილამდე სპეციალური "დაცვის" უზრუნველყოფით, ლტოლვილთა განსახლების ადგილები - ცენტრალური რუსეთისა და ციმბირის ქალაქები, აშკარად მიუთითებს, რომ რუსეთის ხელისუფლება გეგმავს ჩეჩენი ხალხის ხელახალ დეპორტაციას. ჩვენთვის ცნობილია, რომ არსებობს უფრო გვიანდელი საიდუმლო დოკუმენტიც და მასში კიდევ უფრო ნათლადაა გამოკვეთილი "ევაკუაციის" ჭეშმარიტად რუსული მნიშვნელობა.

### რუსეთის ფედერაციის მთავრობა

### განკარგულება
**1887 1994 წლის 1 დეკემბრისა**
**ქ. მოსკოვი**

1. ჩეჩნეთის რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობისათვის, რომელსაც ესაჭიროება ევაკუაცია, აუცილებელი ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზებული გატარების მიზნით, შეიქმნას ოპერატიული ჯგუფი რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო თავდაცვის, საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის საქმეთა მინისტრის, ს.კ. შოიგუს ხელმძღვანელობით.
2. ოპერატიული ჯგუფის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ რუსეთის თავდაცვის მინისტრის, რუსეთის შსს, რუსეთის "ფსკ"-ს, რუსეთის "ფმს"-ის, რუსეთის "მპს"-ის, რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს, "მინზდრავმედპრომ"-ის, "როსკომრეზერვ"-ისა და ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელთა მოადგილეები. აღნიშნული ფედერალური ორგანოებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებმა შეარჩიონ კონკრეტული კანდიდატურები.
3. ოპერატიულმა ჯგუფმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს აუცილებელი ღონისძიებების გეგმა.
4. "როსკომრეზერვ"-მა ოპერატიული ჯგუფის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა.
5. რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ოპერატიული ჯგუფის გადაწყვეტილებათა მიხედვით შესასრულებელ ღონისძიებებთან და აგრეთვე "როსკომრეზერვ"-ის მიერ გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შევსებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსირება.

რუსეთის ფედერაციის
მთავრობის თავმჯდომარე
ვ.ჩერნომირდინი

### ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოსახლეობის ევაკუაციისთვის ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა და ვადები

1. შეიქმნას ლტოლვილთა შემკრები პუნქტები ადმინისტრაციების გამლით ქ.ქ. მოზდოკი, ყიზლარი, ბესლანი, ბუდიონოვსკი და სტავროპოლის მხარის კურსკის და ნეფტეკამსკის რაიონებში. 2. 12. 94
2. უზრუნველყოფილ იქნას ევაკუირებულთა გადაყვანა საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტით, სამხედრო-სატრანსპორტო და სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავებით ქ.ქ. ასტრახანი, ვოლგოგრადი, ორენბურგი, სარატოვი და ულიანოვსკი. 2. 12. 94-დან
3. გაიშალოს და უზრუნველყოფილ იქნას ევაკუირებულთა მიღებისა და დროებითი განსახლების პუნქტების ფუნქციონირება ქ.ქ. ასტრახანი, ვოლგოგრადი, ორენბურგი, სამარა, სარატოვი და ულიანოვსკი. გატარდეს სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემსაწინააღმდეგო ღონისძიებები ევაკუირებულთა მიღებისა და დროებითი განსახლების პუნქტებში. დადგინდეს და შეთანხმებულ იქნეს ევაკუირებულთა გადმოტვირთვის ადგილები. 3. 12. 94
4. ევაკუირებულნი უზრუნველყოფილ იქნენ შესაბამისი დოკუმენტებით, აგრეთვე საკვები პროდუქტებითა და სამედიცინო დახმარებით ლტოლვილთა შემკრებ პუნქტებში, გზაში, მიმღებ და დროებითი განლაგების პუნქტებში. 3. 12. 94
5. ორგანიზებულ იქნეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ლტოლვილთა შემკრების პუნქტებში და ავტოკოლონების, სარკინიგზო მატარებლებისა და თვითმფრინავების თანხლება დანიშნულების ადგილებამდე. 3. 12. 94
6. უზრუნველყოფილ იქნეს ევაკუირებულთათვის გზაში სასმელი წყლისა და საკვები პროდუქტების გაცემა. ევაკუაციის განმავლობაში.
7. მოხდეს ევაკუირებულთათვის სამედიცინო მომსახურეობის ორგანიზება შემკრებ პუნქტებსა და გზაში. ევაკუაციის განმავლობაში.
8. ორგანიზებულ იქნეს ლტოლვილთა განსახლება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე და მათი სამსახურეობრივი მოწყობა. ევაკუირებულთა მიმღებ პუნქტებში ჩამოსვლისას.
9. მოსახლეობის ევაკუაციისათვის შეიქმნას უწყებათშორისი მუშა-ჯგუფი, მოსახლეობის ევაკუაციის საკითხთა კოორდინირებისთვის მუშა-ჯგუფის წარმომადგენლები გაიგზავნონ ლტოლვილთა შემკრებ პუნქტებში.
2. 12. 94
10. რუსეთის ფედერაციის მთავრობისთვის მომზადდეს ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტები. 2. 12. 94

უწყებათშორისი კომისიის ხელმძღვანელი -
სამოქალაქო თავდაცვის, საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის საქმეთა მინისტრი
ს. შოიგუ

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც ოსმალეთში მიმავალი ჩეჩნების ბინა ისევ უწინდელს სურათს წარმოადგენდა. აქა-იქ ცეცხლები, რომელთა შუა ჩრდილსავით დადიოდნენ კაცები და დედაკაცები. ერთი განსხვავება ეს-ღა იყო, რომ ხალხი უხლა მეტად დაღონებულიყო, მეტად შეწუხებულიყო... ჭიანურის ხმაც კი აღარ მოისმოდა... არ შეწყვეტილიყო მხოლოდ უსიტყვოდ ზუზუნი, უსიტყვოდ კვნესა, უსიტყვოდ ხულის გმინვა და გოდება!..

ესენი გასცქეროდნენ თავიანთ მინდვრებს, თავიანთ მთებს, რომელნიც ღამის სიბნელეში ცის კიდურზედ იხატებოდნენ. აქედგან უგზავნიდნენ ჩუმს, ხვეწიანს სალამს და დანარჩენი კი ისევ კვნესასა და ზუზუნში გამოითქმოდა.

ბავშვები ტიროდნენ შიმშილით და სიცივით. მშობიარე დედაკაცები გოდებით წარმოსთქვამდნენ იმათ წყევლას, ვინც ისინი მოიყვანა ამ დღემდის, და წყევლასთან ერთად ლევდნენ სულს. კაცები წარბებშეჭმუხნილნი, ხანჯალზე ხელგადადებულნი ჩუმად იდგნენ და უყურებდნენ თავიანთ ელს, [illegible] სამართალს ეძებდნენ, მაგრამ ვისგან?

ვინ დარჩებოდა ისე უგულოდ, რომ არ ეგრძნო ამ საერთო მწუხარების ძალა, გარდა იმ სალდათებისა, რომელნიც მოჩენილი ჰყავდათ გადასახლებულთ წესისა და მშვიდობიანობის დასაცველად.

მარტო ისინი იდგნენ მხიარულად, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ ამ ხალხის უსიტყვოდ წუხილზედ. მიჩვეულნი მუდამ გარეგანს ცხოვრებას, მოშორებულნი საკუთარს სამშობლოს, სახლს, კარს, სახლობას, გულგაქვავებულნი სხვის მწუხარებისადმი არ გრძნობდნენ და არ ესმოდათ, რაზედ იკლავდნენ თავს ეს პატიოსანნი და ყოჩაღის ნიკეთით სავსე მამულისშვილნი, შეჩვეულნი მუდამ ხეტიალს და წანწალს ერთის ადგილიდან მეორეზედ, თავიანთ სურვილს და წადილს მოკლებულნი და ძალდატანებით დამონებულნი, მუდამ სხვის წადილით და სურვილით მცხოვრებნი, ფიქრობდნენ, რომ სხვანიც ისე უნდა ყოფილიყვნენ და ვერ გაეგოთ, რომ სხვის სურვილით და ბრძანებლობით ცხოვრება ყველასთვის ერთ-რიგად ვერ აიტანება.

ა.ყაზბეგი, "ელისო"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იგავი სიკვდილ-სიცოცხლის, მთავრობისა და ბიუჯეტისა

**10 იანვარს არარსებული სახელმწიფოს არარსებული პარლამენტი განიხილავდა არარსებულ ბიუჯეტს და ამ საკითხს მთავრობის ყოფნა-არყოფნის საკრალურ კითხვას უკავშირებდა**

და მაინც, ყველამ კარგად უწყოდა, რომ ამ სხდომის მთავარი სენსაცია საპატიო ქვრივის, ირინე სარიშვილის გამოსვლა იქნებოდა. საგულისხმოა, რომ სხდომა, ნებსით თუ უნებლიეთ, დაემთხვა გიორგი ჭანტურიას გარდაცვალების მეორმოცე დღეს, მაგრამ თავდადებული მეუღლე მაინც "გამოცხადდა თავის სადეპუტატო პულტთან, რათა საქმისადმი ერთგულებით უკვდავეყო ლეგენდარული ქმრის სახელი. ამით მოკირებულმა, თუ პირიქით, კარგად მომზადებულმა სპიკერატმა უმალ დაუთმო მას ტრიბუნა, ჩვეული საპროცედურო მოთელვისა და მთავრობის წევრთა მეტად ულიმღამო გამოსვლის შემდეგ.

და იდგა იგი, სევდით მოსილი, მკაცრი და ამაყი. იდგა და სთავაზობდა ხელისუფლებას უცნაურ გაცვლას - გიას სიცოცხლე მთავრობის სანაცვლოდ: არა მისი რომელიმე ცალკეული წევრის, არა ყველაზე ოდიოზური ფიგურის - იქნება ეს იგორ გიორგაძე თუ ჯაბა იოსელიანი - არამედ მთელი მინისტრთა კაბინეტის - "გამოიყენეთ ეს მკვლელობა საქმისთვის".

რაა ეს საქმე?!

სარიშვილი განმარტავს: მაფიის დამარცხება მთავრობის გადაყენების გზით.

მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე იგი იყო შევარდნაძესთან, მოუთხრო ყველაფერი, თვალი აუხილა სახელმწიფოს უმაღლეს მმართველობაში გამეფებული კორუფციის მასშტაბებზე, დაუსაბუთა მთავრობის გადაყენების აუცილებლობა და მის შემცვლელ ძალად თავისი პარტია შესთავაზა. მეთაური ყველაფერზე დაეთანხმა, მაგრამ მამაშვილურად სთხოვა, ცოტა ხანი მოეცადათ.

"იგი დროის მოგებას ცდილობს და არავითარი ცვლილება არ სურს" - წარმოუთქვამს მოგვიანებით ჭანტურიას თავისი მორიგი წინასწარმეტყველება. როგორც ჩანს, ედპ-ს ლიდერი "ყველაფერს" მიხვდა და სულ მალე სწორედ ამისათვის დაისაჯა.

რაშია გამოსავალი, როგორ მოვერიოთ მაფიას, კორუფციას, როგორ ვიხსნათ სამშობლო?!

სარიშვილი გვასწავლის: ბიუჯეტი, სრულიად უნაკლოც რომ იყოს, არ უნდა მივიღოთ, ვინაიდან მხოლოდ მისი ჩაგდებითაა შესაძლებელი მთავრობის გადაყენება. მეორე გზა - სახელმწიფოს მეთაურის კეთილი ნების საფუძველზე, ეკონომიკის რეფორმირების მიზნით, ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება - მან საეჭვოდ მიიჩნია. ე.ი. მოვიცილოთ მაფია და მარგიანი, ვიხსნათ საქართველო... ბიუჯეტის ჩაგდებით! ეს უნდოდა გიას და ამ გზის ერთგული რჩება ირინა.

პარლამენტმა სხვაგვარად განსაჯა: ბიუჯეტი მიიღეს, მარგიანი და სხვა მისთანანი დარჩნენ და, საფიქრალია, განაგრძობენ თავიანთ შავბნელ საქმიანობას, შესაბამისად, საქართველო დაიღუპა...ამით!

მაშ რას შეეწირა გია ჭანტურია - სამშობლოს თუ ბიუჯეტს?!

* * *

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, იტალიური დეტექტივის ჟანრში გადაწყვეტილმა და, რაც მთავარია, სპეკულატურმა ამ გამოსვლამ ანტიშევარდნაძისტულად განწყობილი საზოგადოების ერთ ნაწილზე საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. "მან ყველაფერი უთხრა" - მიიჩნევენ ისინი. ჩვენ სხვა აზრისა ვართ: სარიშვილმა არაფერი თქვა იმაზე მეტი, რაც ყველამ იცის, რასაც არანაკლები სითამამით ყვება რიგითი მოქალაქე პურის რიგსა თუ ტრანსპორტში.

მაგრამ მთავარი მაინც ის არ არის, რა თქვა სარიშვილმა თუ სხვამ. მთავარი და ყველაზე შემაშფოთებელია, თუ გნებავთ, სამწუხაროც, რომ იგი ვერაფერს მიხვდა - სიკვდილ-სიცოცხლის შემაძრწუნებელ ზღვარზე გავლის შემდეგაც კი.

ვერ მიხვდა, რომ ფაცაცია-მარგიანის მთავრობის შეცვლა "ედპმნიკური" მთავრობით არ გადაარჩენს საქართველოს; ვერ მიხვდა, რომ დღეს უკვე არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ვის დაასწრებს ანგარიშსწორებას; ვერ მიხვდა, რომ მისი ქმრის ცოცხლად გადარჩენა იმაზე მეტ გავლენას საქართველოს ბედზე ვეღარ იქონიებდა, ვიდრე უკვე იქონია; ვერ მიხვდა, რომ მას, გია ჭანტურიას, სხვებს და, საერთოდ, ჩვენ ყველას, არსებითად, მხოლოდ ორი გზა გვაქვს - ან ვემსახუროთ სამშობლოს, ან ვემსახუროთ მის მტრებს; რომ მათ რა ხანია აირჩიეს მეორე გზა და სწორედ ამ ალტერნატივის კრიმინალურ ლოგიკას ეწირებიან, და არა სამშობლოს ინტერესებს.

დაბოლოს, ირინა სარიშვილი ვერ მიხვდა, რომ თვითონაც იმ დანაშაულებრივი სტრუქტურის სამსახურშია, რომელმაც დაღუპა და კვლავაც ღუპავს საქართველოს; რომელიც თავის წიაღში წარმოქმნის მაფიოზურ და დანაშაულებრივ მიკრო და მაკრო კლანებს, რათა მიზანმიმართულად ანგრიოს, გადააჯიშოს, საბოლოოდ მოსპოს ერის ცოცხალი ორგანიზმი. ვერ მიხვდა, რომ იგი განუყოფელია იმ სისტემისგან, რომელმაც შეიწირა მისი მეუღლე.

* * *

ვერ მიხვდნენ ამას სხვებიც, რომლებიც ქვეყნის გადარჩენის პერსპექტივას ხან მთავრობის შეცვლაში, ხან ვიცე-პრემიერის პოსტის გამოტყუებაში, ხანაც მომავალ არჩევნებში ხედავენ. მათი გონების ერთობ დაგვიანებული გამონათებები - ეხება ეს მათთვის მანამდე საძულველ, ხოლო საერთაშორისო კონიუნქტურის ფონზე სასურველად გამხდარ ჩეჩნეთს, თუ სხვა საკითხს - იმდენად უსუსურად გამოიყურება, რომ უნებურად აფიქსირებ შევარდნაძისა და მისი კლანის აშკარა უპირატესობას.

შევარდნაძე დამნაშავეა ქართველი ერის წინაშე, მაგრამ რას ელოდა ჭანტურია ან პაატაშვილი მისგან, ვინც სამშობლო არ დაინდო?! ან კი თავად მათ დაინდეს?!

ამიტომაც მერყეობენ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარსა და ბიუჯეტს შორის. რას იზამ - მათ თავად აირჩიეს ეს სასჯელი.

**ანა ჭავჭავაძე**

# საქართველოს ჰელსინკის კავშირის მიმართვა მსოფლიოს ხალხებისა და მთავრობებისადმი

რუსეთის ფედერაციის ველიკოდერჟავულ ხელისუფლებას კავკასიაში თავისი სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების განსამტკიცებლად სურს სისხლში ჩაახშოს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას, გმირი ჩეჩენი ხალხის სამართლიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

რუსეთის ბარბაროსული სამხედრო აგრესიის შედეგად უკვე დაიღუპა თვრამეტ ათასამდე (18.000) მშვიდობიანი მოქალაქე, უსახლკაროდ არის დარჩენილი რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი, დანგრეულია ქ. გროზნო, წარმოებს ომი მთელი ერის წინააღმდეგ, რაც სხვა არაფერია, თუ არა მიზანდასახული გენოციდი!

"გაერო"-ს წესდების, "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის", ჰელსინკის შეხვედრის დასკვნითი აქტის, "კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის" ფუძემდებლური დებულებებიდან გამომდინარე,

მოგიწოდებთ,ცივილიზებული მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს,

- ნუ გახდით გმირ ჩეჩენ ხალხსა და მის მრავალჭირნახულ მიწა-წყალს რუსეთის სისხლიანი რეჟიმის ლუკმად!

- აღიარეთ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის მიერ 1991 წლის 2 ნოემბერს გამოცხადებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა!

- ნუ უგულებელყოფთ ერთა უფლებების შესახებ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს!

1991 წლის 27 ოქტომბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში გამოხატული ჩეჩენი ხალხის ნების საფუძველზე, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა ჯერ კიდევ სსრკ-ს არსებობის დროს, ანუ იმ სახელმწიფოს ფარგლებში, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს, ხოლო რუსეთი იმხანად ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოსახლეობას მონაწილეობა არ მიუღია რუსეთის ფედერალური ხელისუფლების მიერ დანიშნულ არც ერთ პლებისციტსა თუ არჩევნებში, ხოლო ჩეჩნეთის ხელისუფლებას ხელი არ მოუწერია რუსეთთან ფედერალურ ხელშეკრულებაზე.

ამრიგად, ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მისი აღიარება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად არ ნიშნავს რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერმა დევნილმა პარლამენტმა - უზენაესმა საბჭომ (რომლის აღდგენისთვის აგერ უკვე სამი წელია იბრძვის ქართველი ერი) 1992 წლის 13 მარტს ქ. გროზნოში გამართულ სესიაზე დეიურედ სცნო ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ამის საპირისპიროდ, საქართველოში ამჟამად არსებული რუსეთის საოკუპაციო-მარიონეტული რეჟიმის მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველო გადააქცია რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ ბაზად, საიდანაც ხორციელდება ძალისმიერი აგრესია ჩეჩნეთის რესპუბლიკის მიმართ. ფაქტობრივად შევარდნაძის რეჟიმი გვევლინება რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მხარდამჭერ, აგრესორ მხარედ, რომელიც ხელს უწყობს კავკასიაში მდგომარეობის დესტაბილიზაციას.

მოგიწოდებთ, სწორად შეაფასოთ შექმნილი ვითარება და, კავკასიაში მშვიდობის აღდგენის მიზნით, მიიღოთ სამართლიანი გადაწყვეტილება - აღიაროთ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირი**

თბილისი
1995 წლის 20 იანვარი

# "ყველამ ყველაფერი იცოდა"

**განაცხადა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ერთ-ერთმა ლიდერმა თენგიზ სიგუამ საზოგადოება "ცოდნის" დარბაზში 17 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე**

მისი თქმით, პრესკონფერენციის მოწვევის მიზანი იყო სიმართლის თქმა [illegible] შესახებ [illegible] ამ დეზინფორმაციის [illegible] ლისუფლებისადმი დაქვემდებარებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

სიგუამ განმარტა, რა მიზანს ისახავდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის მიერ 13 იანვარს მოწყობილი აქცია: "აფხაზეთის კონფლიქტის [illegible] ჩიხში შევიდა. ქართველმა ხალხმა დაკარგა ამ კონფლიქტის მოლაპარაკებების გზით მოგვარების იმედი. გაეროს განცხადებები ქაღალდზე რჩება და რეალური შედეგები არ ჩანს. გაქარწყლდა ხოლო იმედებიც: ჟენევაში გამართულმა შეხვედრამ ნაყოფი არ გამოიღო.

აფხაზეთში ქართველ ლტოლვილთა რეპატრიაცია 17 ნოემბრიდან შეჩერებულია. - განაგრძო ორგზის ექს-პრემიერმა. აფხაზურმა მხარემ ჩვენთვის შეურაცხმყოფელი ანკეტების გადმოცემა [illegible]. რეალურად დღეს აფხაზეთში დაბრუნებულია 104 ოჯახი. ყოველივე ეს სამშვიდობო პროცესის კრახს მოასწავებს. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს აფხაზეთის პრობლემაც, სამაჩაბლოს მსგავსად, დაავიწყოს ქართველ ხალხს."

სიგუამ გაიხსენა დაგომისის ხელშეკრულებები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შესახებ და აღნიშნა, რომ მაშინაც მსგავსი დაპირებები იყო ხელისუფლების მხრიდან. (მას, როგორც ჩანს, აღარ ახსოვს, რომ 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საქართველოს უკანონო ხელისუფლებამ, რომლის პრემიერ-მინისტრიც თავად გახლდათ.) მისი აზრით, დარჩა ერთადერთი გზა, იარაღით წართმეულის იარაღითვე დაბრუნება.

სიგუას თქმით, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები და აფხაზეთში განვითარებული მოვლენები აბსოლუტურად იდენტურია. "რუსეთი ამჯერად თავად დადგა სეპარატიზმის საფრთხის წინაშე და ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიმართა ძალისმიერ გზას. ამიტომაც რუსეთი ველარავის დაძრახავს თავის რესპუბლიკაში ამგვარივე მეთოდების გამოყენების გამო." (ჩვენდა გასაოცრად, სიგუას არ გახსენებია, როგორ ძრახავს მთელი მსოფლიო თავად რუსეთის აგრესიას ჩეჩნების მიმართ და ამ ფონზე რა შეიძლება მოჰყვეს საქართველოში მსგავსი გამოცდილების გადმოღებას.)

"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, საერთოდ, მომხრეები ვართ ამ პრობლემის იარაღის ძალით გადაჭრისა, კონკრეტულად ამ აქციის მიზანი მაინც არ ყოფილა აფხაზეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დაწყება. - ამტკიცებს სიგუა. - ჩვენ განზრახული გვქონდა, ნავსულოყავით სენაკში, გაგვეძლიერებინა ჩვენი ფორმირებები და დაველოდებოდით იმ დროს, როცა ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, მიხვდებოდა, რომ მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკებებით აფხაზეთის პრობლემა არ გადაიჭრება. ამის შემდეგ შევუერთდებოდით სამთავრობო ჯარის ნაწილებს და ერთიანი ფრონტით, ერთიანი ძალით ვიბრძოლებდით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად."

როგორც თენგიზ სიგუა აცხადებს, აქციაში მონაწილეობდა 1400 კაცი, რაც შეეხება იარაღს - თავად ხელისუფლებამაც აღიარა, რომ დაკავებულ ავტობუსებში აღმოჩნდა მხოლოდ 20 ავტომატი. "ყველასათვის ნათელია, ამგვარი შეიარაღებით არავინ აპირებდა აფხაზეთში შესვლას. ეს იარაღიც, სამწუხაროდ, თავად მფლობელების მიერ იქნა წამოღებული, მიუხედავად ეგფ-ს ხელმძღვანელთა განცხადებისა, რომ აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებს".

შეკითხვაზე, იყო თუ არა ინფორმირებული სახელმწიფოს მეთაური ეგფ-ს აქციის შესახებ, სიგუამ განაცხადა, რომ აქციის დაწყების თაობაზე 12 იანვარს ეცნობა უშიშროების ორგანოებს. ეგფ-ს შტაბ-ბინაში იყვნენ ავთანდილ იოსელიანი და ჯიმი ძიქლაძე, რომლებიც დაპირდნენ, რომ ყველაფერს აცნობებდნენ ედუარდ შევარდნაძეს და პასუხსაც მოიტანდნენ, მაგრამ არავინ გამოჩენილა. აქციისადმი მხარდაჭერა გამოუხატავთ და მისი მონაწილეები წასვლის წინ მოუნახულებიათ პარლამენტარებსა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს, განცხადება გაკეთდა პრესაშიც. "ასე რომ, ყველამ ყველაფერი იცოდა." - დაასკვნა თენგიზ სიგუამ.

იგი თვლის, რომ ყველაფრის მიუხედავად, აქციამ გამოიღო თავისი პოზიტიური შედეგი: სეპარატისტები შეშფოთდნენ, მათმა ლიდერმა დახმარებისთვის მიმართა კონფედერაციას.

"- არძინბას მუხლები აუკანკალდა, მან იცის, რომ სანამ მიმდინარეობს ჩეჩნეთის კონფლიქტი კონფედერატებს მისთვის არა სცალიათ. მე ვიცნობ ძალებს, რომელიც საქართველოს გააჩნია. თუ ხელისუფლება მოინდომებს, ჩვენ შევალთ აფხაზეთში."

თენგიზ სიგუას ოპტიმიზმმა, თავდაჯერებულობამ და, განსაკუთრებით, ინფორმაციამ არძინბას მუხლების აკანკალების შესახებ, იმედით აგვავსო დარბაზში მყოფი საზოგადოება. ამ იმედს მცირეოდენ ჩრდილს აყენებდა იმის გახსენება, რომ არძინბას მუხლების ამაკანკალებელი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი, თენგიზ კიტოვანი საკანშია გამომწყვდეული იმ "დიდი პოლიტიკოსის" მიერ, რომლის საქართველოში ჩამოყვანას ბატონმა თენგიზმა მთელი თავისი მხედრული ნიჭი და შემართება შეალია.

**ნუგზარ წიკლაური**

# ჰელსინკის კავშირი ძალებს იკრებს

20 იანვარს საქართველოს ჰელსინკის კავშირის თბილისის ორგანიზაციამ, მესამე რესპუბლიკური საგანგებო კონფერენციის კვალდაკვალ - ჩაატარა საქალაქო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა 60 დელეგატი ქალაქის რაიონული ორგანიზაციებიდან, კავშირის ინდივიდუალური წევრები, მათ შორის პროფესორები, ქ-ნი თამარ კუკავა და ვახტანგ ბოჭორიშვილი, რეგიონული ორგანიზაციებისა და ფილიალების წარმომადგენლები, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი უზენაესი საბჭოს წევრები.

სხდომას უძღვებოდა თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბ-ნი მურმან მზარელუა, რომლის თქმით, კონფერენცია მიზნად ისახავს საქალაქო ორგანიზაციის რეალური ამოქმედებისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნას. "თბილისის ორგანიზაცია ყოველთვის წარმოადგენდა ჰელსინკის კავშირის ხერხემალს და მან უაღრესად მძიმე პირობებში დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, დევნის, ტერორის, ცილისწამების მიუხედავად, ცდილობდა ემოქმედა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ჰელსინკის კავშირის დამაარსებლის ზვიად გამსახურდიას მიერ გაცხადებული პრინციპების თანახმად. ჩვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ვინაიდან ჩვენ გვიყურებენ ჰელსინკელები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან."

კონფერენციაზე განიხილეს მესამე რესპუბლიკური კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მმართველობის კოლექტიურ ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით. სიტყვით გამოსულნი ძირითადად გამოხატავდნენ ერთ საერთო შეხედულებას: მთელმა ეროვნულმა მოძრაობამ და საკუთრივ ჰელსინკის კავშირმა დაკარგა აშკარად გამოკვეთილი ლიდერი, ახალ ლიდერს კი ვერც მოიგონებ, ვერც შეთხზავ. ამიტომ ბრძოლის ამ ურთულეს ეტაპზე უმჯობესია ერთობლივი ფიქრისა და განსჯის საფუძველზე მივიღოთ გადაწყვეტილებები და ვიმოქმედოთ, ბოლოსდაბოლოს, მივეჩვიოთ კოლეგიალურ თანამშრომლობას.

შემდგომ მიღებულ იქნა კონფერენციის რეზოლუცია და მიმართვები: "მსოფლიოს ხალხებისა და მთავრობებისადმი", რომელშიც საქართველოს ჰელსინკის კავშირი მოუწოდებს, აღიარონ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა; "აზერბაიჯანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და აზერბაიჯანელი ხალხისადმი", რომელშიც გამოხატულია თანაგრძნობა 1990 წლის 20 იანვარს საბჭოთა არმიის მიერ ბაქოში განხორციელებული გენოციდის გამო; "ჰელსინკის კავშირის წევრებისადმი", რომელშიც კონფერენციის მონაწილენი მოუწოდებენ თანაპარტიელებს, გააქტიურონ ბრძოლა საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

კონფერენციის მონაწილენი სიხარულით შეხვდნენ ცნობას საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის, რესპუბლიკური გამგეობის წევრის ბ-ნ ავთანდილ რცხილაძის პატიმრობიდან განთავისუფლების თაობაზე. მოისმინეს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და თხოვნა, ამ მიზეზით გაანთავისუფლონ იგი თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობისგან, იმის გათვალისწინებით, რომ იგი რჩება რესპუბლიკური გამგეობის წევრად. ფარული კენჭისყრით ჩატარდა საქალაქო ორგანიზაციის გამგეობისა და თავმჯდომარის არჩევნები. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი მურმან მზარელუა.

# საყვედურები შევარდნაძის მიმართ

ფრანკფურტი, 30 ნოემბერი. თბილისიდან მიღებული ერთგვაროვანი ინფორმაციებით, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა - საქართველო ძალზე შორსაა დემოკრატიისა და ეკონომიკური სტაბილიზაციისგან. სახელმწიფოს მეთაურს არ ძალუძს სამოქალაქო ომის დამთავრება. სნგ-ს სამშვიდობო ძალების შესვლის შემდეგ 1994 წლის გაზაფხულზე საქართველოდან გამოყოფილ აფხაზეთის რესპუბლიკაში თითქოს ჩაწყნარდა ბრძოლები, თუმცა, ასიათასობით ქართველი ლტოლვილი ვერ ბრუნდება შავი ზღვის ამ რეგიონში. ამას ემატება კრიტიკული სასიცოცხლო პირობები, თავად საქართველოს დედაქალაქ თბილისში დღის უმეტეს დროს არ არის დენი, გაზი და წყალი. საქართველოს წინ ცივი ზამთარი ელის.

# ავტორიტარული რეჟიმი

შევარდნაძე, რომელზეც დასავლეთს, როგორგორც გორბაჩოვის დროის საგარეო საქმეთა მინისტრზე, მეგობრული მოგონებები აქვს, ავტორიტარული რეჟიმის მოთავეა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი არის როგორც სახელმწიფოსა და პარლამენტის მეთაური, ასევე ითავსებდა თავდაცვის მინისტრის პოსტსაც.

საქართველოში ოპოზიციის წარმომადგენლები უჩივიან ადამიანის უფლებათა დარღვევასა და დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფას. საპატიმროები სავსეა პოლიტპატიმრებით, მშვიდობიანი მიტინგები ირბევა იარაღის გამოყენებით. ადამიანის უფლებათა სხვადასხვა ორგანიზაციებისადმი თავის მიმართვაში - "თავისუფალი მსოფლიოს ყველა მთავრობას" - ქართველმა ემიგრანტებმა ამხილეს პოლიტპატიმართა უუფლებობა: "პოლიტიკურ პატიმრებს საქართველოში ჩამორთმეული აქვთ ადამიანის ყველა უფლება. მათ აწამებენ, ამცირებენ, აყენებენ შეურაცხყოფას."

ეს მონაცემები დაადასტურა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ "ემნისთი ინთერნეიშნლ." მათი ინფორმაციით საქართველოში პატიმრებს აშინებენ, სასტიკად ეპყრობიან და აწამებენ. სასამართლოებში ირღვევა კანონით გათვალისწინებული პროცესუალური მხარეები. საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი და ერთ-ერთი ცნობილი პოლიტპატიმარი ვიქტორ დომუხოვსკი ჩივის, რომ მას არა მარტო ადვოკატის მიერ დაცვა, არამედ საკუთარი საქმის გამო მიმდინარე სასამართლო სხდომებზე დასწრებაც კი აკრძალული აქვს. " ისტორია მეორდება, - წერს დომუხოვსკი თავის წერილში - როგორც თავის დროზე, კომპარტიის მეფი, ე.შევარდნაძე ახლაც ტერორითა და დევნით ებრძვის დისიდენტებსა და პოლიტიკურ ოპოზიციას."

"ფრანქფურტერ ალგემაინე", 1 დეკემბერი, 1994 წელი

---

# პოლიტპატიმარი ბადრი ოქროპირიძე

**ბადრი ავთანდილის ძე ოქროპირიძე**

დაიბადა ქ.თბილისში 1963 წლის 28 თებერვალს. დაამთავრა საშუალო სკოლის რვა კლასი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. 1981-83 წ.წ. მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

[illegible]

მე ყოველთვის წავალ მის წინააღმდეგ-მეთქი.

შემდეგ მომთხოვეს მეჩვენებინა ჩვენი დაბანაკების ადგილი. მე ვუთხარი, რომ იქ არავინ არის. მიპასუხეს, შენი ჩვენება რად გვინდა, ჩვენ თვითონ მიგიყვანთ და თუ იქ ვინმე აღმოჩნდა, ჩვენი ფარი იქნები, შენ მაინც ხომ არ გესვრიანო.

[illegible]

შესმოდა ამ სატანების ხელით ნატანჯი ჩემი მეგობრის კვნესა. 2 სექტემბერს, დილის დაახლოებით 5.30 სთ-ზე გაისმა ყვირილი: კაცი მოკვდა და ჩქარა ექიმიო. მოიყვანეს ექიმი და შეიყვანეს გოქსაძის საკანში, მაგრამ იგი უკვე მკვდარი იყო. როდესაც გამოიტანეს ცხედარი, დავინახე, რომ მას საშინელი ცემისა და წამების კვალი აჩნდა, მისი სისხლი დერეფნის კედლებსაც კი ემჩნეოდა და იქვე ეგდო მისი გასისხლიანებული სვიტრი.

იმავე დილით გამიყვანეს ყვარლის მილიციის უფროსთან, სადაც დამხვდნენ თენგიზ კიტოვანი, რომან გვენცაძე და სხვა პირები.

თენგიზ კიტოვანმა რომ დამინახა, შემაგინა - კიდევ შენა ხარ, შენი ქრონიკული "ზვიადისტი" დედაო... თანაც იქ მყოფთ უთხრა, რომ მე დასახვრეტი ვარ, ვინაიდან უკვე რამდენჯერმე მნახა დაჭერილი და მე ჭკუას მაინც ვერ ვისწავლიდი; ხოლო რომან გვენცაძემ ხელი ჩამცხო თავში, რამდენჯერ უნდა გაგიშვათო. მე ვუპასუხე, სანამ ეს სისხლიანი ხუნტა იქნება ქვეყნის სათავეში და სიმართლის გულისათვის ხალხს ზოგს დახვრეტს, ზოგს ციხეში ამოალპობს, [illegible]

მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

მე არ მიღალატია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული მოძრაობისათვის. თუ ეს ჯალათები და სატანის მსახურები მართლები არიან, მაშინ მთლიანად აჩვენონ ტელევიზიით ტყეში გადაღებული ჩემი საუბრის ჩანაწერი და არა ის ხუთწუთიანი დამონტაჟებული, რომელიც მათ აჩვენეს, რათა მე უკან დასახევი გზა არ მქონოდა.

მე მუდამ დავრჩები პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გვერდით და მუდამ მეყვარება ჩემი საქართველო და ქართველი ერი. შევარდნაძის წინააღმდეგი ვიქნები მანამ, სანამ პირში სული მიდგას და უკან აღარ დავიხევ.

მე ჩემი სათქმელი ვთქვი და ყოველთვის ვიტყვი.

გფარავდეთ ღმერთი ყველას, ვინც საქართველოს გადასარჩენად იბრძვის!

ამინ! ამინ! ამინ!

ბადრი ოქროპირიძე
("შოშია")
29.06. 1993 წელი.

---

# გერმანელი სწავლულები თურქეთში მცხოვრებ ქართველთა და ტაო-კლარჯეთის ქართული კულტურის ძეგლების შესახებ

*ამ ხუთი წლის წინ 1989 წლის დამდეგს გერმანელმა მეცნიერებმა: ეკლესიის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანმა თანამშრომელმა, დოქტორმა რუდოლფ გრულიხმა (კენიგშტაინი), გისენის უნივერსიტეტის რელიგიის ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა ადოლფ ჰამპელმა და ეროვნებებისა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი წრის ხელმძღვანელმა, დოქტორმა ორტფრიდ კოჩიანმა (ჰაილიგენჰოფი) ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებსა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაავრცელეს, აგრეთვე თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებას წარუდგინეს "რეზოლუცია თურქეთში ლაზების უფლებებისა და ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ". ამ დოკუმენტმა, რომლის ავტორები ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიის (ეკლესიის) ისტორიის ფართოდ ცნობილი სპეციალისტები არიან, უმალ მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება.*

*რეზოლუციაში წარმოჩენილია ერთ-ერთი უძველესი ქართველური ტომის - ლაზებისა და ტაო-კლარჯეთის ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლების სავალალო მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ ავტორები ზედმიწევნით იცნობენ ქართველი ერის, ქართველურ ტომთა ისტორიას და საქმით სწორ დასკვნას აკეთებენ ლაზთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. ამას ხაზს ვუსვამთ იმდენად, რამდენადაც უცხოელი სპეციალისტები, განსაკუთრებით თურქი ისტორიოგრაფები, ამ მხრივ ხშირად სცოდავენ ხოლმე.*

*რეზოლუციის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ჰელსინკის, მადრიდისა და ვენის შეხვედრების დასკვნით დოკუმენტებზე, რომლებშიც განსაზღვრულია ერთა უცილობელი უფლება, თუკი თავად ვერ გადაწყვეტენ თავის ბედ-იღბალს, ამა თუ იმ სახელმწიფოს ფარგლებში ჰქონდეთ ეროვნულ-კულტურული ავტონომია (მშობლიური ენისა და კულტურის, თვითმყოფადი ეროვნული ადათ-წესების თავისუფალი განვითარება). საერთაშორისო პრინციპებზე დაყრდნობით გერმანელი მეცნიერები მოითხოვენ შესაბამისი კანონიერი უფლებები მიენიჭოთ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს (ლაზებს).*

*როგორც ვხედავთ, ეს რეზოლუცია, მეცნიერულთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელმაც მომავალში, შესაძლოა, პრაქტიკული დანიშნულებაც შეიძინოს. ამდენად მისი გამოქვეყნება და ქართველი საზოგადოებისათვის გაცნობა საპატიო მოვალეობად მიგვაჩნია.*

## რეზოლუცია თურქეთში ლაზების უფლებებისა და ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ

1. თურქეთის რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობათა შორის არიან ქართველები, რომლებიც ბინადრობენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ართვინის პროვინციაში. ერთ-ერთ ქართველურ ტომს ისევე, როგორც მეგრელები, სვანები და სხვ., შედგენენ ლაზები.

2. თორთუმის ხეობაში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი IX-X ასწლეულთა ეკლესია-მონასტრები, რომლებსაც ამჟამად იყენებენ როგორც მეჩეთებს ან საწყობებს, ხშირად კი - საშენ მასალად. უკვე [illegible] ეკეკის (დოკუმენტში ნახსენებია ფორმით - Ekik - რედ.) ეკლესია. დანგრეულ იქნა ერთი ნაწილი სხვა მონასტრებისა (იშხანი, ოშკი, ვანქი).

3. თურქეთი დღეს ლამობს ევროგაერთიანებაში შესვლას (ამჟამად იგი უკვე არის ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო - რედ.). ევროპა დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ თურქეთმა სცნოს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნებათა უფლებები და უზრუნველყოს მათი შესრულება. ეს ვრცელდება ლაზებზეც, რომლებსაც არ შეიძლება წაერთვას დედაენა, სკოლებსა და საზოგადოებაში მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლება.

4. ჰელსინკის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტის ძალით (პარაგრაფი III. 3. - კულტურის სფეროში თანამშრომლობა და IV. 4. - განათლების სფეროში თანამშრომლობა) თურქეთმა წვლილი უნდა შეიტანოს ჰელსინკის პროცესის მონაწილე ქვეყნებს შორის ეროვნული უმცირესობებისა და რეგიონალური კულტურების განვითარებაში. ამასთან, შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები იმ შემთხვევაში, თუ მათ ტერიტორიებზე არსებობს ეროვნული უმცირესობანი და ხსენებული კულტურული ჯგუფები, მხედველობაში უნდა იღებდნენ მათ კანონიერ ინტერესებს.

5. მიუხედავად იმისა, რომ "ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის" მონაწილე სახელმწიფოთა მადრიდის შეხვედრაზე 1983 წლის 6 სექტემბერს მიღებული დასკვნითი დოკუმენტის ძალით "ადამიანებმა, რომელნიც ეკუთვნიან ეროვნულ უმცირესობებს, უნდა ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებებით; (...) უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი კანონიერი ინტერესების დაცვა ისე, როგორც ეს დასკვნით აქტშია მითითებული", ასეთი რამ დღემდე არ მომხდარა.

6. ვენის შეხვედრის დასკვნით დოკუმენტში, რომელიც ხელმოწერილია ყველა მონაწილე სახელმწიფოს მიერ, მითითებულია: "ისინი (მონაწილე სახელმწიფოები - რედ.) დაიცავენ თავიანთ ტერიტორიებზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ უფლებებს და შექმნიან სათანადო პირობებს მათი შემდგომი განვითარებისთვის. ისინი პატივს მიაგებენ ეროვნულ უმცირესობათა მიერ ამ უფლებებით თავისუფლად სარგებლობას და უზრუნველყოფენ სხვებთან მათ თანასწორობას".

7. აქედან გამომდინარე, ჩვენ მოვითხოვთ, რომ თურქეთში ყოველივე ეს ხორცშესხმული იქნას ლაზების მიმართ - მათი მშობლიური ენისა და კულტურის განვითარების, სამშობლოში - საქართველოს კულტურულ უწყებებთან კონტაქტების დამყარების უფლების უზრუნველყოფით.

თხოვნით მივმართავთ თურქეთის მთავრობას, რათა შენარჩუნებულ და დაცულ იქნას ქართული ეკლესია-მონასტრები ართვინის პროვინციაში. მოვუწოდებთ საზოგადოებას, რათა მხარში ამოუდგეს თურქეთს ხელოვნების ამ ძეგლთა აღდგენა-რესტავრაციის საქმეში. მათი შენარჩუნება შედის ევროპისა და კაცობრიობის ინტერესთა სფეროში.

---

ავტორები ქართველთა განსახლების არეალად ასახელებენ ართვინის პროვინციას. სინამდვილეში ქართველთა უდიდესი ნაწილი (არსებული მონაცემებით, 2,5 - 3 მილიონი ადამიანი) ცხოვრობს ძირძველ ქართულ ტერიტორიაზე - ტაო-კლარჯეთში, აგრეთვე შავი ზღვის სანაპირო ზოლზე (ძირითადად ლაზები) ტრაპიზონის ჩათვლით. - რედ.

პუბლიკაცია მოამზადა
და კომენტარი დაურთო
ლევან ურუშაძემ

---

# სასამართლო გრძელდება...

"ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" სასამართლო პროცესის 10 იანვრის სხდომაზე სასამართლო კოლეგიამ მირზა დოლიძის თავმჯდომარეობით უარი განაცხადა ადვოკატ გ.მოსესიანის შუამდგომლობაზე. 37 პუნქტად შედგენილი შუამდგომლობიდან არ დაკმაყოფილდა და არც ერთი პუნქტი.

11 იანვრის სხდომაზე ადვოკატ კონსტანტინიდს აუკრძალეს შუამდგომლობის დაყენება სასამართლო კოლეგიის მთლიანი შემადგენლობის აცილების შესახებ. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ადვოკატმა დააგვიანა საკითხის შემოტანა და ამ მიზეზით შუამდგომლობის განხილვა შემდეგი სხდომისთვის გადაიდო. თუმცა, კონსტანტინიდიმ მის შესახებ სასამართლო კოლეგიას უკვე წინა დღეს აცნობა.

ასევე არ იქნა განხილული ადვ. მოსესიანის შუამდგომლობა საქმის დამატებით ძიებაში გადაცემის შესახებ. ადვოკატებმა თავის მხრივ განაცხადეს, რომ უარის მიზეზი სრულიად არამოტივირებულია სასამართლოს მიერ.

უარი ეთქვა აგრეთვე დამატებითი მოწმეების გამოძახებისა და დამატებითი მასალის გამოთხოვნის შესახებ შუამდგომლობებზე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს არც კი გამოუქვეყნებია განსასჯელ ომარ კოჭლამაზიშვილის ჩვენება.

დასასრულ, პროკურორმა კახა კობერიძემ თავისი საბრალდებო სიტყვის მოსამზადებლად მოითხოვა თხუთმეტი სამუშაო დღე და სასამართლო კოლეგიამ სხდომა გადაიტანა 30 იანვრისთვის.

ამდენად, სასამართლო პროცესი თანდათან, კანონის უხეში დარღვევებით, განსასჯელთა უფლებისა და, საერთოდ, ელემენტარული სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფით, უახლოვდება ფინალს...

ნინო ჩეჩელაშვილი

---

## ზუგდიდში ზღუდავენ პრესის გავრცელებას

ზუგდიდში გაზეთების გავრცელების დროს დააკავეს "თავისუფალი საქართველოს" გამავრცელებლები - იური გუდავა და რამაზ შარია. მათ გამოექომაგა გია ყოლანდარია, რომელიც აგრეთვე სცემეს და დააკავეს.

შარიასა და გუდავას მიუსაჯეს 30 დღით თავისუფლების აღკვეთა.

პოლიციის განყოფილებაში შარიას დედას უთხრეს, რომ გამავრცელებლების დაკავება მოხდა ფაცაციას დავალებით.

---

## საქართველოს ჰელსინკის კავშირის რესპუბლიკური კონფერენციის

## დადგენილება N6

საქართველოს ჰელსინკის კავშირის რესპუბლიკური მმართველობის სტრუქტურის რეორგანიზაციის, მმართველობის კოლექტიურ ფორმაზე გადასვლის შესახებ

საქართველოს ჰელსინკის კავშირის III რესპუბლიკური კონფერენცია ადგენს:

ა.) საქართველოს ჰელსინკის კავშირის მუდმივ თავმჯდომარედ აღიარებულ იქნას მისი დამაარსებელი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, კავკასიელ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია;

ბ.) გაუქმებულ იქნას ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარის პოსტი;

გ.) გაუქმებულ იქნას ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი;

დ.) დაწესდეს რესპუბლიკური ორგანიზაციის მმართველობის კოლექტიური ხელმძღვანელი ორგანო 7 (შვიდი) წევრისაგან შემდგარი რესპუბლიკური გამგეობის სახით;

ე.) კავშირის წესდებაში შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები.

18 დეკემბერი, 1994 წელი,
თბილისი

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ჩეჩნეთი - ორასწლიანი ომი დამოუკიდებლობისთვის

## ქრონიკა

### 11 იანვარი

ბრძოლები ქალაქის ცენტრში მიდიოდა. მხოლოდ ცალკეულ ადგილებში ისმოდა დროდადრო სროლის ხმა. მოხდა შეხვედრა რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელობასა და ჩეჩნეთის არმიის შტაბის მეთაურებს შორის. გარდა ამისა, ხდებოდა დაუგეგმავი შეხვედრები დაპირისპირებულ...

ტალებს გროზნოს საახალწლო შტურმის შესახებ. გამოირკვა, რომ 1 იანვარს, გრაჩოვის დაბადების დღის აღსანიშნავად მასთან მოზდოკში ჩამოვიდნენ მეგობარი თანამზრახველები - სტეპაშინი (კუს თავმჯდომარე) და ეგოროვი (რფ ვიცე-პრემიერი). დასხდნენ, აღნიშნეს როგორც ჯერ არს და როცა ტვინი აერიათ, ჯარს უბრძანეს გროზნოზე შტურმის მიტანა, თანაც პრეზიდენტის სასახლეში შესვლა პირველი ქვეგანაყოფის ყველა ჯარისკაცს გმირის ვარსკვლავს დაჰპირდნენ. და დაიწყო ხოცვა-ჟლეტა. როგორც ცნობილია, პრეზიდენტის სასახლეში...

ნავენ - გროზნოს შტურმმა ეადებით გადააჭარბა 1945 წელს ბერლინის შტურმს.

ლეგენდად იქცა რუსეთის სადესანტო ჯგუფის დატყვევების შემთხვევა. ისინი დატოვეს პოზიციებზე და დაპირდნენ, რომ მალე შემოუერთდება მეთაურიც, რომელიც მათ თვალითაც არ უნახავთ. ამასობაში ჯგუფთან მივიდა რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი, ჩეჩნების ლაშქარში მეომარი უკრაინელი მოხალისე, დააწყო მედესანტეები და წაიყვანა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, პირდაპირ ჩასაფრებული ჩეჩნების ტყვეობაში.

...როგორხეც ადრე იყო.

ბუნდესთაგის სხდომაზე დეპუტატებმა მკაცრად გააკრიტიკეს კანცლერ კოლისა და გერმანიის მთავრობის ზოგიერთი წევრის პოზიცია და განაცხადეს, რომ რუსეთს უნდა შეუწყდეს ყოველგვარი დახმარება.

### 16 იანვარი

მოსკოვში წინასწარ მოლაპარაკებებზე ჩამოვიდა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დელეგაცია, რო...

### 12 იანვარი

### 13 იანვარი

### 14 იანვარი

### 15 იანვარი

### 17 იანვარი

შეწყვიტოს რუსეთისათვის დამღუპველი ომი და მერე იყოს რაც იქნება. ომის მომხრენი კი ხაზს უსვამენ, რომ მოლაპარაკებები არაოფიციალურ ხასიათს ატარებს და ამდენად, სახელმწიფო აპარატი თავის მოქმედებებში ვერ იხელმძღვანელებს მისი შედეგებით.

როგორც არ უნდა იყოს აღქმული ეს მოლაპარაკებები, მისი შეფასება შესაძლებელია სამი ძირითადი ვარიანტის თანახმად: 1. საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის გულწრფელი სურვილი; 2. დასავლეთისთვის ფირნიშის შექმნა, თითქოს მშ...

...საერთოდ, ჩეჩნეთის საზოგადოებაში. ამ მიზნით კრემლი შეეცდება მოლაპარაკებების ორგანიზებას რაიონების, სოფლების, ქალაქების ხელმძღვანელებთან, ჩეჩნეთის სახალხო ლაშქრის ცალკეულ მეთაურებთან და სხვ., რათა მათი გადმობირებით პრეზიდენტ დუდაევსა და მის სახელმწიფო აპარატს შორის შექმნას ვაკუუმი.

რაც შეეხება გაჭიანურებულ დავას ჩეჩნეთის მოვლენებისთვის პასუხისმგებლობის გამო, ყველა ეჭვსა და კითხვას პასუხი გასცა ელცინის ერთმა წამოსროლილმა ფრაზამ - "მე მკაცრად ვაკონ...

ჩეჩნეთს აქვს თავისი დროშა, ხოლო რუსეთის დროშის აღმართვა მხოლოდ მისი ჯარების დისლოკაციის ადგილებში თუა შესაძლებელი.

18 იანვრის საღამოს რუსეთის თვითმფრინავებმა პრეზიდენტის სასახლესა და მინისტრთა საბჭოს შენობაზე ჩამოაგდეს განსაკუთრებული ჭურვები, შესაძლოა ფოსფორული, რომელმაც სარდაფამდე გაარღვია და ცეცხლის ალში გახვია მთელი შენობა. იმის გამო, რომ ორივე შენობისგან...

### 19 იანვარი

### 18 იანვარი

### 22 იანვარი

ჩეჩენი მებრძოლები 2 საათის განმავლობაში უტევდნენ პრეზიდენტის სასახლეს, რომელიც 19 იანვარს აიღეს რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა. თვითმხილველთა თქმით, პრეზიდენტის სასახლის ზედა სართულებზე გამაგრებული არიან ჩეჩენი სნაიპერები, რომლებიც აკონტროლებენ მიმდებარე ტერიტორიას. ჩეჩნები არ გატყდნენ სასახლის დაცემის მიუხედავად, ხოლო მათი ბრძოლისუნარიანობა, თვითმხილველთა აზრით, კიდევ უფრო გაიზარდა.

### 23 იანვარი

### 24 იანვარი:

დაპირებისამებრ, მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ავსტრიელი ბიზნესმენის ვოლფგანგ ჰოიერის წიგნიდან "როგორ ვაწარმოოთ ბიზნესი ევროპაში". დოქტორი ჰოიერი გახლდათ საბჭოთა-ავსტრიული საწარმო "ინტერპრომის" დირექტორი და ეს წიგნი გამოსცა, უპირველეს ყოვლისა, საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში გამოუცდელი საბჭოთა სპეციალისტებისთვის. თავად ავტორი თავის მიზანს ამგვარად ხსნის:

..."მსოფლიო ვაჭრობის ყველა ახალი თუ მომავალი წარმომადგენლისთვის მინდოდა დამეწერა რაღაც სახელმძღვანელოს, ცნობარის, ან სამაგიდო წიგნის მსგავსი".

წიგნი მრავალ თავს მოიცავს, მაგრამ ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ მის პირველ ნაწილზე, რომელშიც მოცემულია ევროგაერთიანების სტრუქტურისა და სამოქმედო პრინციპების ანალიზი, რის საფუძველზეც გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებას საშუალება ეძლევა, გაერკვეს ევროპაში მიმდინარე გლობალური პროცესების არსში.

წარმოდგენილი ნაწყვეტი მხოლოდ ფაქტის კონსტატაციაა, მაგრამ მასში ნათლად იკვეთება დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის წამყვანი ტენდენცია - მისწრაფება სახელმწიფოთა მაქსიმალური ინტეგრირებისკენ. ამ პროცესს, ალბათ, გააჩნია მაცდუნებელი ხიბლი - თუნდაც ეკონომიკური სარგებლიანობის თვალსაზრისით, მაგრამ, ამავე დროს, უამრავ შემაშფოთებელ კითხვასაც აღძრავს და ეროვნულ სახელმწიფოთა სრული გაქრობის საფრთხესაც შეიცავს.

ამდენად, საჭიროდ ვთვლით მკითხველს მივაწოდოთ ჩვენი კომენტარი ამ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით

# როგორ ვაწარმოოთ ბიზნესი ევროპაში

ევროპის გაერთიანება (EC), ანუ ე.წ. "საერთო ბაზარი", წარმოადგენს გაერთიანებას სახელმწიფოებისა, რომლებიც ნაციონალური სუვერენიტეტების დათმობის ხარჯზე პოლიტიკური და ეკონომიკური ერთიანობისთვის იღვწიან. "საერთო ბაზრის" წევრ-ქვეყნები თავიანთ თავს მიიჩნევენ მომავლის ევროპის შეერთებული შტატების ბირთვად.

1967 წლიდან ევროპის გაერთიანებას აქვს შემდეგი სახელმწიფოთაშორისი, ანუ ზენაციონალური ორგანოები:

- მინისტრთა საბჭო - საკანონმდებლო ორგანო;
- ევროპის გაერთიანებათა კომისია - აღმასრულებელი ორგანო. მხოლოდ კომისიას აქვს უფლება მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს კანონთა პროექტები;
- ევროპის პარლამენტი - მაკონტროლებელი ორგანო. იგი განახორციელებს კომისიის მოქმედების კონტროლს და ამტკიცებს ბიუჯეტს;
- ევროპის გაერთიანებათა სასამართლო - უმაღლესი სასამართლო ორგანო.

ბოლო დროს დიდ მნიშვნელობას იძენს კიდევ ორი ორგანო, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საწყის ხელშეკრულებებში. ისინი იქმნებოდა თანდათანობით, პრაქტიკული აუცილებლობიდან გამომდინარე. ესაა - ევროპის საბჭო - რომლის შემადგენლობაში შედიან მონაწილე ქვეყნების მთავრობათა მეთაურები;

- ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა - კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თორმეტი საგარეო საქმეთა მინისტრი და ევროპის გაერთიანების კომისიის ერთი წევრი.

დღევანდელ დღეს "საერთო ბაზრის" ორგანიზაციებში მუშაობს დაახლოებით 20 000 თანამშრომელი სხვადასხვა ქვეყნებიდან, ე.წ. ნაციონალური პროპორციის შესაბამისად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა ქვეყანას აქვს უფლება "საერთო ბაზრის" შტატში შეიყვანოს თავისი თანამშრომლების განსაზღვრული რაოდენობა.

საერთო ბაზრის კანონმდებლობა წარმოდგენილია შემდეგი სახის საკანონმდებლო აქტებით:

- დადგენილებანი - არსებითად ესაა ზენაციონალური კანონები, რომელსაც კანონიერი ძალა აქვს ევროპის გაერთიანების ყველა წევრ-ქვეყანაში და მათ ეროვნულ კანონმდებლობაზე მაღლა დგას.
- დირექტივები - წარმოადგენს ზოგადი დებულებების შემცველ საკანონმდებლო აქტებს, რომელთა დაკონკრეტება სპეციალური დადგენილებებით თავად წევრ-ქვეყნების კომპეტენციას განეკუთვნება.

ევროპის გაერთიანებათა ორგანიზაციების ზენაციონალური ხასიათი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მის დადგენილებებს წევრ-ქვეყნებისათვის კანონის ძალა აქვს და მათ შიდა კანონმდებლობაზე მაღლა დგას.

1970 წლამდე ევროპის გაერთიანების წევრ-ქვეყნებს, საკუთარი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, შესატანი შეჰქონდათ საერთო ბაზრის ბიუჯეტში, ხოლო ამავე წლის აპრილიდან "საერთო ბაზარი" მასში შემავალი ქვეყნების ბიუჯეტისგან დამოუკიდებლად განაგებს საკუთარ სახსრებს და ეს ევროპის გაერთიანების ადმინისტრაციულ ორგანოებს მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას ანიჭებს.

ევროპის გაერთიანების პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს ხუთი პრინციპი:

- თავისუფალი ვაჭრობა;
- წევრ-ქვეყნების მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილება;
- საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევა;
- მომსახურეობის თავისუფალი განხორციელება;
- კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა და თავისუფალი საგადასახადო ბრუნვა.

პირველ ნაბიჯს "საერთო ბაზრის" მიზნების მისაღწევად წარმოადგენს თავისუფალი საერთო ბაზრის შექმნა, სხვაგვარად რომ ვთქვათ - ვაჭრობის განხორციელება საბაჟო გადასახადების გარეშე. ამავე დროს შემოღებულია გადასახადების საერთო სისტემა მესამე ქვეყნებთან დამოკიდებულებაში.

სხვადასხვა საგადასახადო სისტემების არსებობა ხელს უშლის წევრ-ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას. ამიტომ ევროპის გაერთიანებათა კომისიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ეროვნულ კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია.

ასე მაგალითად, მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ტურიზმის სფეროში. წევრ-ქვეყნების მგზავრთა კონტროლი ფაქტობრივად აღარ არსებობს. თანდათან "საერთო ბაზრის" ყველა მოქალაქისთვის შემოაქვთ საერთო პასპორტი.

მაგრამ გადასახადების ჰარმონიზაციის პროცესი წევრ-ქვეყნების შიგნით ობიექტურად არსებულ მრავალ პრობლემას აწყდება, ვინაიდან გადასახადების დონე ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოთა ბიუჯეტებზე.

ევროპის გაერთიანებათა დაარსებისას გამოთქმული იყო საერთო ვალუტის შემოღებისა და საერთო სავალუტო პოლიტიკის ჩამოყალიბების სურვილი. ამ გზაზე პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ევროპის სავალუტო ერთეულის - ეკიუს (ECU) შემოღება. ეკიუ გამოიყენება "საერთო ბაზრის" ბიუჯეტის განმსაზღვრელ საანგარიშო ერთეულად და მისი კურსის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს ეროვნული ვალუტების კურსი.

პრაქტიკაში თითოეული ქვეყანა, სხვა წევრ-ქვეყნებისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად, ატარებს თავის ეკონომიკურ პოლიტიკას. და მიუხედავად იმისა, რომ არც ავსტრიაა ევროპის გაერთიანების წევრი და არც შვეიცარია, მათი ვალუტები - ჰოლანდიურ გულდენთან ერთად - კვლავაც ყველაზე სტაბილურია ევროპაში.

მიუხედავად იმისა, რომ სათანადო დონეზე არ ხდება "საერთო ბაზრის" სავალუტო პოლიტიკის შეთანხმებული განვითარება, ევროპის გაერთიანების კომისია ახლო მომავალში აპირებს გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- განახორციელოს ნაციონალური ფულადი ერთეულების სავალუტო კურსების უფრო მჭიდრო კოორდინაცია;
- გაზარდოს ეკიუს როლი ბანკებისა თუ კერძო პირების ანგარიშსწორებაში;
- შექმნას ევროპის ცენტრალური ბანკი და ერთიანი საერთო ვალუტა - ეკიუ. ასეთი გადაწყვეტილება მიღებული იქნა ევროპის საბჭოს მიერ ჯერ კიდევ 1985 წლის დეკემბერში, მაგრამ წევრ-ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს არ სურთ დაკარგონ ის როლი, რომელიც მათ აქვთ თავიანთი ქვეყნების საშინაო ეკონომიკურ პოლიტიკაში.

სავალუტო და საგადასახადო პოლიტიკა - ეს, რა თქმა უნდა, თითოეული ქვეყნის სუვერენიტეტის საკვანძო საკითხია, ამიტომაც სწორედ ამ საკითხთან მიმართებაში ნათლად ვლინდება ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ევროპის გაერთიანების მისწრაფებასა და ცალკეული ქვეყნების სურვილს შორის, შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ თავიანთი სუვერენიტეტი.

როგორც აღვნიშნეთ, ევროპის გაერთიანების დადგენილებები წარმოადგენს კანონებს, რომელიც ყველა წევრ-ქვეყანაში ავტომატურად შედის მოქმედებაში და ეროვნულ კანონთან მიმართებაში უპირატესობით სარგებლობს. მათგან განსხვავებით, დირექტივები მიუთითებს მთავრობებს ეროვნულ კანონმდებლობაში მითითებული დებულებების კონკრეტიზების აუცილებლობაზე. "საერთო ბაზრის" ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს აგრეთვე კანონიერი ძალა აქვს.

"საერთო ბაზრის" საკანონმდებლო აქტები უშუალოდ ცვლის ეროვნულ კანონებს შემდეგ სფეროებში:

- საგარეო სავაჭრო პოლიტიკა;
- აგრარული პოლიტიკა;
- სავაჭრო და სამოქალაქო სამართალი;
- საგადასახადო სამართალი.

ასევე მოქმედებს ეროვნულ კანონმდებლობაზე ევროპის გაერთიანების სახელმწიფოთა ყველა მოქალაქის უფლება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იცხოვრონ და იმუშაონ ნებისმიერ წევრ-ქვეყანაში.

როგორც ვხედავთ, EC წევრმა ქვეყნებმა საკმაოდ დიდი მასშტაბით თქვეს უარი თავიანთ სუვერენიტეტზე. მათ "საერთო ბაზრის" კომპეტენციაში გაიტანეს სავაჭრო და სამოქალაქო უფლებათა მთელი კომპლექსი და დაკარგეს დამოუკიდებლობა საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში.

"საერთო ბაზრის" შემქმნელნი აშკარად ისახავენ მიზნად, მომავალში შექმნან ერთი სახელმწიფო - ევროპის შეერთებული შტატები, რომელშიც ეროვნული სახელმწიფოები დაარეგულირებენ კანონმდებლობის მხოლოდ შეზღუდულ, ლოკალურ ნაწილს. და თუმცა ამ მიზნის მიღწევა ჯერ არ ხერხდება, "საერთო ბაზარი", დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ყველაფერს აკეთებს მომავალში ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფოს შესაქმნელად.

ვოლფგანგ ჰოიერი

# საითკენ მიდის ევროპა, ანუ საქართველო გზის გასაყარზე

ჩვენის აზრით, ჰოიერის წიგნის წარმოდგენილი ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, რომ გაერთიანების საერთო ინტერესი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დომინირებს ცალკეული ნაციონალური სახელმწიფოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ინტერესებთან შედარებით. ფაქტობრივად, ევროგაერთიანების ამგვარი მოდელი სხვა არაფერია, თუ არა ახალი, ერთიანი, მძლავრი, კონკურენტუნარიანი სახელმწიფოს შექმნის მცდელობა, რომელიც დროთა განმავლობაში აუცილებლად შთანთქავს თავის შემადგენლობაში შემავალ პატარ-პატარა სახელმწიფოებს.

თავად ევროგაერთიანების წარმოდგენილი სტრუქტურა საკმაოდ ახლოსაა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და, მით უფრო, ახლანდელ "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" არსებითად იმპერიულ მოდელთან: საერთო არჩევითი და აღმასრულებელი ორგანოები, საერთო სამართლებრივი ბაზა და თვით მართლმსაჯულების მექანიზმიც კი, ერთიანი მძლავრი აპარატი, რომლის წიაღშიც გამოიზრდება ინტეგრაციული პოლიტიკის იდეოლოგთა ნომენკლატურული კასტა.

დღეს ძნელია ითქვას, ისარგებლებს თუ არა ამ მექანიზმით ერთი რომელიმე ევროპული სახელმწიფო, რომლის ინტერესებსაც დაექვემდებარება დანარჩენი ხალხების ნება. ევროპაში ხშირად ამგვარ ამბიციებს მიაწერენ ხოლმე გერმანიას, რომელიც ამ პროცესის თუ მთავარი არა, ერთ-ერთი ინიციატორი და წარმმართველია. ან იქნებ ინტეგრაციის პრინციპად მართლაც დარჩეს დეკლარირებული საერთო ინტერესები, რომელთა განხორციელებაც ყველასათვის სასიკეთო იქნება.

მაგრამ, დავუფიქრდეთ, რა ინტერესებია ეს?!

ბევრისთვის, შესაძლოა, მისაღები იყოს ეროვნულ სახელმწიფოთა სახეცვლილების ამგვარი პერსპექტივა, რამეთუ ასეთ შემთხვევაში უმთავრეს ხიბლს შეადგენს ის ეკონომიკური კეთილდღეობა, რომელიც, როგორც იგულისხმება, ბუნებრივად უნდა მოჰყვეს ყველა სახელმწიფო ინტერესის ერთი უმთავრესი მიზნისთვის დაქვემდებარებას.

ჩვენთვის ევროპის გაერთიანების პრობლემა იმდენად არის აქტუალური, რამდენადაც სამომავლოდ ამგვარი ან მსგავსი პერსპექტივა, შესაძლოა, ჩვენს წინაშეც გადაიშალოს. ამიტომ ვთვლით, რომ დაფიქრება ამ საკითხების გარშემო აზრსმოკლებული არ უნდა იყოს.

სხვადასხვა ხალხების ერებად ჩამოყალიბება, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ რომ სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესს უკავშირდება. სახელმწიფოა ის ქსოვილი, რომელიც აერთიანებს მონათესავე ხალხებს ერთ მონოლითურ მთლიანობაში, განსაზღვრავს მათი თანაცხოვრების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, თუ სამართლებრივ ფორმებს და დროთა განმავლობაში აყალიბებს მკაცრად ინდივიდუალურ სახეს ამ ერისას, განსაზღვრულს სხვისგან განსხვავებულ კულტურულ, ენობრივ, ზნეობრივ და რელიგიურ თავისებურებაში. საუკუნეთა მანძილზე ეს განსხვავებულობა ტრადიციად ყალიბდება და თვით ისეთი მახასიათებლების შინაარსსაც კი განსაზღვრავს, როგორიც არის მეცნიერება, ხელოვნება, განათლების სისტემა, სპორტი.

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ სწორედ იმითაა საინტერესო კაცობრიობის ისტორია და თავად ადამიანის ყოფა-ცხოვრება, რომ ის გარკვეული ეროვნული, საუკუნეების მანძილზე მორგებული და აპრობირებული გამოცდილების მატარებელია და კაცობრიული სიბრძნის გამოსახატავად მხოლოდ თავისთვის მახასიათებელ, ინდივიდუალურ ფორმას ეძიებს.

თავად განსაჯეთ, რამდენად მისაღებია გონიერი ადამიანისთვის უარის თქმა ამ ბრწყინვალე მრავალფეროვნებაზე; რამდენად მოსაწონია სურვილი მთელი ის მშვენიერი გამოცდილება, რომელიც ცალკეული ერების უანგარიშო ღვაწლის შედეგად დაუგროვებია მსოფლიოს, მხოლოდ ერთ რამეზე - მაძღარ კეთილდღეობაზე გაიცვალოს.

შესაძლოა, ჩვენ დაგვეპირისპირონ აზრი, რომ ეკონომიკური და შემდგომში პოლიტიკური ინტეგრაცია, მსოფლიო მოქალაქის ჩამოყალიბება ბუნებრივი ეკონომიკური პროცესითაა გამოწვეული, ეს პროგრესის აუცილებელი, გარდუვალი ეტაპია, ამიტომ, წუწუნი ნაციონალური რომანტიზმის სამუდამოდ გარდასულ ხიბლზე უადგილო და ფუჭი საქმიანობაა, მაგრამ გვინდა შევახსენოთ ჩვენს ოპონენტებს, რომ ეკონომიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი სფეროა, ამიტომ საზოგადოებამ უნდა ჩააყენოს იგი თავისი ინტერესების სამსახურში და არა პირიქით, დაუშვებელია ყველა ინტერესი ერთადერთი პრობლემის გადაწყვეტას ემსახუროს, სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საზიანოდ.

> ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვამონა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევინარჩუნეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსულმა მტერმა ვერა დაგვაკლო-რა, - შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული-კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-და გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. კართ კი ყოველივე ამისათვის მზად? ან გვეტყობა რამიმე რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?
>
> *ილია ჭავჭავაძე*

მითუმეტეს, რომ მსოფლიოს უახლესი ისტორიის გაკვეთილებიდან გამომდინარე, ფრიად საეჭვო ჩანს თვით შესაძლებლობა ამგვარი კეთილდღეობის მიღწევისა ეროვნული ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. შემთხვევითი არ არის, რომ ევროპაშიც და აზიაშიც ყველაზე დიდ წარმატებებს ეკონომიკის დარგში სწორედ იმ სახელმწიფოებმა მიაღწიეს, რომელთაც სხვებთან შედარებით უფრო მეტად აქვთ შენარჩუნებული ნაციონალური ფსიქოლოგია. ამის თვალსაჩინო მაგალითია იაპონიის, გერმანიის, სკანდინავიის, ანუ ყველაზე ძლიერი ეროვნული მახასიათებლების მქონე სახელმწიფოების არნახული ეკონომიკური გაფურჩქვნა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. აქ ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ გერმანიაც და იაპონიაც უმძიმესი შედეგებით გამოვიდნენ ბოლო ომიდან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მართალნი არიან ჩვენი ოპონენტები და მსოფლიოს ინტეგრაციული მოძრაობა გარდუვალი ეტაპია, საღად მოაზროვნე კაცობრიობა მაინც უნდა აღუდგეს წინ ამ მოვლენას, რამეთუ იგი უცილობლად გამოიწვევს ევროპული ცივილიზაციის გადაგვარების, ნელი კვდომის პროცესს, რაც მთელი კაცობრიობისთვის აუნაზღაურებელი დანაკარგი იქნება.

"დღეს, მაგალითად, ევროპის რასა ბატონობს მთელს ქვეყანაზედ, მაგრამ ამ ბატონობას დასაბამიც ჰქონია და დასასრულიც ექნება, როგორც ჰქონდა დასაბამი და დასასრული ბაბილონელთა და ასურელთა ბატონობას, სპარსთა, ბერძენთა, რომაელთა და სხვათა ბატონობას. მართალია, ამ უკანასკნელთა "ქვეყანა", მათი გეოგრაფიული გავრცელება და ცოდნა ათასჯერ უმცირესია ვიდრე, თანამედროვე ევროპელთა ბატონობა და გეოგრაფიული ცოდნა, რომელიც მთელს დედამიწის სფეროს მოედო, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ევროპელთა გარდა ქვეყანაზედ სხვა ხალხებიც არიან, უფრო მრავალრიცხოვანნი, რომელთაც თუმცა დიდი მონაწილეობა მიუღიათ უძველეს ისტორიაში, მაგრამ ჯერ არც დაღლილან და არც გადაშენებულან; ისინი ჯერ კიდევ ხელმეორედ, სავსებით არ გამოსულან ისტორიის ასპარეზზე. ჯერ არ გაუშლიათ მოქმედებაში თავიანთი პოტენციალური ენერგია.

ჩინელები, იაპონელები, ინდოელები და მრავალნი სხვანი - რომელთა რაოდენობა ნახევარ კაცობრიობაზე მეტს შეადგენს და რომლებმაც უნდა შექმნან მთელი დიდი და გრძელი ხანა კაცობრიობის ახალი ისტორიისა, როცა გამოვლენ საქვეყნო ასპარეზზე. ესენი შეადგენენ უმთავრეს ფონდს კაცობრიობისას, თუ შეგვიძლია, ასე ვთქვათ.

დასავლეთი ევროპის ერთა ჯიშები ძლიერ ვნებულია მრავალ ომთა და რევოლუციათაგან. აქ დღეს საფრთხეშია მთელი შემოქმედებითი ნიჭის მქონე რეზერვი ადამიანთა. ევროპელის სულიც დასნეულებულია, აღარავითარი გენიოსობის შექმნა მას აღარ ძალუძს, არამედ მრავლად ყოველივე გადაგვარებულისა და გადარეულისა. ევროპის კაცობრიობას წინ უძს შექმნა ახალი კულტურისა, ნაცვლად ძველისა, რომელიც აღარ გაცოცხლდება, მაგრამ იგი თავისი დაუძლურებით "ევრაზიის" მიერ შთანთქმის წინაშე დადგება.

ხედავენ საფრთხეს, მაგრამ ძნელად, მეტად ძნელად ჩანს მისი თავიდან აცდენა: უკუაგდებენ "აღმოსავლეთს", იგი კვლავ მოვა და დაექადება "დასავლეთს" შთანთქმით, ხოლო თუ ვერ შესძლებენ მის უკუგდებას, კატასტროფა "დასავლეთისა" მით უფრო ადრეა მოსალოდნელი... და მას ვერ უშველის ვერც დემოკრატია, ვერც სოციალიზმი, ვერც ევროპის ერთიანობის ღაღადისი, ვერც პოლიტიკა და დიპლომატია, ვერც ქრისტიანობა და ვერც სხვა რამ."

დაბოლოს, თუ თვით ევროპისთვის, რომლის სახელმწიფოებს დამოუკიდებლობის ამხელა გამოცდილება აქვთ, ინტეგრაცია შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს, რა უნდა მოუტანოს ამავე პროცესმა საქართველოს მის გარემოცვაში? ამაზე, ალბათ, სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელთაა, საცოდავია ერიც და ადამიანიც, რომელიც ცდილობს ყველაფერში სხვას დაემსგავსოს. ანალიზის, განსჯის, ყოველმხრივი აწონ-დაწონის გარეშე სხვის ნააზრევს ნუ გადმოვიღებთ, მსოფლიოს გამოცდილებიდან მხოლოდ ის ღირებულებები შევითვისოთ, რომლებიც საკუთარ თავს არ დაგვაკარგვინებს, რამეთუ: "ერი რჩება უმაღლეს, უდიდეს, უბუნებრივეს და დღეს თითქმის ერთადერთ დიდ ჭურჭლად საზოგადოებისა მთელ კულტურულ კაცობრიობაში".

თემურ ჯაფარიძე

*ნაწყვეტები მოყვანილია 1918-21 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის ჭეშმარიტი შემოქმედის, მიხაკო წერეთლის სოციოლოგიური ნაშრომიდან "ერი და კაცობრიობა".*

# ვინ დაანგრია ბერლინის კედელი?

"კავკასიური ომების გარემოში ყოფნა შესაძლებლობას მაძლევს ვამტკიცო: ასეთი მშვიდობა იმიტომ დაგვიდგა, რომ "ცივი ომის" დამთავრებამ ჯერაც თავიდან ვერ აგვაშორა მისი მემკვიდრეობა.

ეს მეტად მძიმე აღიარებაა კაცისა, რომელმაც ძალისხმევა არ მოაკლო ბერლინის კედლის დანგრევას."

ედუარდ შევარდნაძე

ახლახან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესისა და ინფორმაციის უწყების დაკვეთით ქართულ ენაზე გამოიცა პატარა წიგნაკი, "გერმანია, ქვეყანა გაცნობისთვის" (თარგმანი რეზო კიკნაძისა).

"გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1949 წლის ძირითადი კანონი იწყებოდა მოწოდების სიტყვით პოლიტიკოსებისადმი, ელვაწათ გერმანიის ერთიანობის და თავისუფლების მისაღწევად. ამიტომ გერმანული პოლიტიკის ამოცანა და ქვაკუთხედი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მთავრობის დროს - ერის გაერთანებისკენ სწრაფვა იყო" (იხ. ზემოაღნიშნული გამოცემა, გვ.28)

როგორც ვიცით, გერმანელმა ხალხმა მიაღწია თავის სანუკვარ მიზანს, მაგრამ ეს არ მომხდარა ხელის ერთი დაკვრით. ამ ამოცანის დაძლევა ხდებოდა ოთხი ათეული წლის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად, დროის ფაქტორისა და კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით.

მივყვეთ ქრონოლოგიას.

ცივი ომის პერიოდში გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ წამოიწყო აქტიური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო დაძაბულობის განმუხტვისაკენ. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ხელშეკრულებები დადო საბჭოთა კავშირთან (1970), პოლონეთთან (1970), გდრ-თან (1972), ჩეხოსლოვაკიასთან (1973).

"ყველა ამ შემთხვევამ გზა გაუხსნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციას, რომელმაც ჰელსინკის დასკვნითი აქტის ხელმოწერით (1975) საფუძველი ჩაუყარა მონაწილე ქვეყნების მზადყოფნას განმუხტვისათვის". (გვ.29)

არც გდრ-ის მოსახლეობა იყო გულხელდაკრეფილი. იგი შესაფერის მომენტს ელოდა. დადგა ეს მომენტიც.

1989 წლის შემოდგომიდან გახშირდა მმართველი რეჟიმის საწინააღმდეგოდ მიმართული მშვიდობიანი გამოსვლები, რომელიც ლაიპციგის დემონსტრაციების სახელითაა ცნობილი. 1989 წლის 4 ნოემბერს ბერლინში ერთი მილიონი ადამიანი გამოვიდა დემონსტრაციაზე, თავისუფალი არჩევნებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნით.

ეროვნულმა მოძრაობამ ნაყოფი გამოიღო. მოსახდენი მოხდა.

1989 წლის 4 ნოემბერს ბერლინში პირველად გაიხსნა არსებული სასაზღვრო კედელი (!), 22 დეკემბერს კი - ბრანდერბურგის კარიბჭე და მასთან ერთად საზღვარი ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის.

მხოლოდ ამის შემდეგ, ბერლინის კედლის დანგრევისა და საზღვრის გახსნის შემდეგ, უკვე მომხდარი ფაქტის შემდეგ, - "1990 წლის დასაწყისში ოთხი სახელმწიფო (!) მივიდა იმ აზრამდე, რომ გერმანიის ერთიანობა ევროპის უშიშროების ინტერესებისთვისაც იყო საჭირო".

საინტერესოა, როგორ ვითარდება შემდეგ მოვლენები..

1990 წლის მარტში ყოფილ გდრ-ში თავისუფალი არჩევნების შედეგად არჩეულმა სახალხო პალატამ გადაწყვიტა შესვლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამასთან, ორი სახელმწიფოს გაერთიანების დღე წინასწარ დაათარიღა - 1990 წლის 3 ოქტომბერი.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახალხო პალატამ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო, დაიწყო ცნობილი მოლაპარაკება "ორი-პლუს-ოთხის" სახელწოდებით.

მოლაპარაკება 1990 წლის 12 სექტემბერს დასრულდა - ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს უკვე გაერთიანებული გერმანიის სრული სუვერენიტეტის ცნობის დოკუმენტს. დე ფაქტოდ არსებული სახელმწიფო დე იურედ იქნა აღიარებული.

ასე დაინგრა ბერლინის კედელი. გერმანიის გაერთიანება თვითონ გერმანელი ხალხის მცდელობით და გერმანელი პოლიტიკოსების ძალისხმევით მოხდა.

ეს კარგად იცის გერმანელმა ხალხმაც და მთელმა ცივილიზებულმა სამყარომაც. ამდენად, მცდელობა საზოგადოებრივი აზრის დამახინჯებისა, ოდენ ფუჭი, აზრს მოკლებული ქმედებაა, ხოლო განუწყვეტელი გამეორება სასაცილოს ხდის ამგვარ დაჟინებას.

ზოგჯერ პროვინციალიზმის სურნელი სჭარბობს ცნობილ პოლიტიკოსთა ახირებულ თვითგანდიდებაში.

ზურაბ ჩხარტიშვილი

# საბჭოთა გენერლის აღიარება

რადიო "თავისუფლების" რუსული რედაქციის სამხედრო-ანალიტიკური პროგრამა "სიგნალ"-ის 1994 წლის 24 დეკემბრის გამოშვებაში "თავისუფლების" კორესპონდენტი ესაუბრა გორბაჩოვის დროს სსრკ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს და საჰაერო-სადესანტო ჯარების მთავარსარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ვლადისლავ ინაშევს. საუბრის მთავარი თემა გახლდათ ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები, მაგრამ სიტყვა ჩვენს უახლეს წარსულზეც ჩამოვარდა. აი, რა თქვა ყოფილმა საბჭოთა გენერალმა 9 აპრილის სისხლიანი აქციის შესახებ:

" რაც შეეხება მოვლენებს თბილისში, მაშინ ადამიანები არ იყვნენ შეიარაღებულნი, მაშინ ადამიანები არ იყვნენ მზად. რა თქმა უნდა, იქ საკმარისი იყო სასანგრე ნიჩბები ...

ჩვენმა ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, უმაღლესმა მხედართმთავარმა სწორედ მაშინ დაგვანახა თავისი ორსახოვნება. ერთდროულად იგი ხელს აწერდა ბრძანებებს, სადაც დავალებას აძლევდა შეიარაღებულ ძალებს და, ამის საპირისპიროდ, მეორე ხელით ხალხისადმი სამშვიდობო მიმართვას თხზავდა. აი, რას ვგულისხმობ, როცა მის ორსახოვნებაზე ვსაუბრობ.

ის, რომ ამის შესახებ იცოდა შევარდნაძემ, ის, რომ ამის შესახებ იცოდა იაკოვლევმა, ის, რომ ამის შესახებ იცოდნენ სხვა ხელმძღვანელმა პირებმა, არავითარ ეჭვს არ იწვევს.

თავდაცვის მინისტრმა მე დამისახა ამოცანა სრულ მზადყოფნაში მომეყვანა საჰაერო-სადესანტო შენაერთი და რესპუბლიკისთვის არასასურველი მოვლენების განვითარების შემთხვევაში დავხმარებოდი ამ პრობლემის გადაჭრაში.

მე მივიღე ბრძანება თავდაცვის მინისტრისგან პოლკის გამოყვანის შესახებ. არსებობს ამის დამადასტურებელი სამუშაო ჩანაწერები.

როდესაც მე ვკითხე: ამხანაგო მინისტრო, იქნება თუ არა ყოველივე ეს დადასტურებული წერილობითი ბრძანებით, მან მიპასუხა: რას ამბობთ, ჩემს გვერდით აეროპორტში მიხეილ სერგის ძე დგას. რა, მას გადავცე ყურმილი, რომ დამიდასტუროს, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა?

ჩემთვის ეჭვგარეშე იყო ყოველივე...

რა თქმა უნდა, მე მივიღე დეპეშა, რომელშიც დადასტურებული იყო ბრძანება პოლკის გადაყვანის შესახებ."




გამომცემლობამ "ნერგი" დასასტამბად მოამზადა წიგნების სერია - "პატარა მკითხველის ბიბლიოთეკა".

წიგნები იმის გათვალისწინებით არის შედგენილი, რომ ბავშვებს, რომელთაც ახალი შეთვისებული აქვთ ანბანი, გაუადვილდეთ კითხვის სწავლა, შეუყვარდეთ წიგნი და სიყრმიდანვე ეზიარონ კაცობრიულ ღირებულებებს.

ბიბლიოთეკა ოთხ სერიად არის დაყოფილი - "გმირები", "მეფეები", "რაინდები", "ლეგენდები". მოგვიანებით დაემატება კიდევ ერთი სერია-"წმინდანები".

შესაბამისად, თითოეული სერია მოიცავს იმ უფართოეს ლიტერატურას, რაც კაცობრიობას შეუქმნია სკანდინავიიდან ვიდრე ინდოეთამდე - საგმირო ეპოსს, სარაინდო რომანს, ისტორიულ ქრონიკას, მითს, საგას, ლეგენდას.

ძველი და შუასაუკუნეების ეს ბრწყინვალე ლიტერატურა გმირობის, თავდადების, რაინდობის, სათნოების შესახებ, მიეახლება პატარა ქართველ მკითხველს გასაგები და მარტივი ენით.

ერთდროულად გამოვა ოთხივე სერიის პირველი წიგნები:

"ალექსანდრე მაკედონელი" - პლუტარქეს მიხედვით
სერია "მეფეები."
"საბრალო ჰენრიჰი" - ჰარტმან ფონ აუეს მიხედვით
სერია "რაინდები"
"სიმღერა როლანდზე" - ფრანგული ეპიური პოემის მიხედვით
სერია-"გმირები"
"სიყვარულის პირველი ზღაპარი"- მაჰაბჰარატას მიხედვით
სერია "ლეგენდები".

წიგნების ტირაჟი და ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება.

## განცხადება

ჩვენი გაზეთის გავრცელების მსურველებს, განსაკუთრებით რაიონებიდან, ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ შემდეგ ნომერზე:

93-24-69

# დასავლეთში სულ უფრო ხშირად საუბრობენ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის შესახებ

## ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი გვატყობინებს ვენიდან:

12 იანვარს ავსტრიის დედაქალაქში ჩატარდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საგანგებო შეკრება. როგორც ცნობილია, გასული წლის ბუდაპეშტის შეხვედრის შემდეგ ამ საერთაშორისო გაერთიანებას ნაცვლად CSCE ეწოდა OSCE და იგი ორგანიზაციის სტატუსით დაფიქსირდა. ვენის შეხვედრის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი - ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიაში შექმნილი ვითარების განხილვა და კრიზისის დაძლევის გზების მოძიება. შეკრებაში მონაწილეობდნენ წევრი ქვეყნების სამთავრობო დელეგაციები და სხდომები დახურულ კარს მიღმა ტარდებოდა.

დასკვნით პრესკონფერენციაზე უნგრეთის წარმომადგენელმა, იშტვან გერმატმა - იგი 9 იანვარს იმყოფებოდა მოსკოვში და ეუთო-ს ოფიციალური შუამავლის სტატუსით მოლაპარაკებებს აწარმოებდა საგარეო საქმეთა მინისტრთან, ანდრია კოზირევთან, ხოლო საგანგებო შეკრებაზე რიგითობის დადგენილი წესის თანახმად უძღვებოდა სხდომებს - ამცნო ჟურნალისტებს, რომ ეუთო-მ მიაღწია გარკვეულ შეთანხმებას რუსეთთან და შეიმუშავა კომპრომისული დადგენილება. კერძოდ, ეუთო-ს წევრი ქვეყნები და მათ შორის რუსეთის ფედერაცია აღიარებს, რომ ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების გამო, აღნიშნული კონფლიქტი აღარ წარმოადგენს მხოლოდ რუსეთის საშინაო საქმეს და მან საერთაშორისო კრიზისის სახე მიიღო. აქედან გამომდინარე, რუსეთი დათანხმდა, რომ ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესასწავლად მივლინებულ იქნას ეუთო-ს დამკვირვებელთა სპეციალური კომისია.

ამასთან, დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რუსეთმა დაარღვია 1994 წლის ნოემბერ-დეკემბერში პრეზიდენტ ელცინის მიერ ბუდაპეშტში ხელმოწერილი შეთანხმება, კერძოდ, მისი 36-ე და 38-ე მუხლები და ეს ფაქტი აღიარა თავად რუსეთის მხარემაც. თავის მხრივ ეუთო-ს წევრი ქვეყნებიც წავიდნენ დათმობაზე და მიღებულ დოკუმენტში აღუთქვეს რუსეთს, რომ დაეხმარებიან ჩეჩნეთის რესპუბლიკაში კონსტიტუციური წყობის აღდგენაში, რაც ნიშნავს რუსეთის იურისდიქციის დამყარებას.

ამ უკანასკნელი თეზისის გამო საგანგებო შეკრების დადგენილება საკმაოდ ნეგატიურად იქნა შეფასებული საზოგადოებისა და საინფორმაციო საშუალებების მიერ. დამკვირვებლები, ცხადია, აღნიშნავენ მის დადებით მხარესაც, კერძოდ იმას, რომ რუსეთის საშინაო საქმე პირველად იქნა განხილული საერთაშორისო დონეზე და მკაცრი შეფასება მიეცა მისი ხელისუფლების მოქმედებას, მაგრამ ჩეჩნეთში კონსტიტუციური წყობის აღდენის მოთხოვნა ბევრს არადამაჯერებელ არგუმენტად ესახება.

ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია იმით, რომ ევროპაში და, საერთოდ, მსოფლიოში დღითი დღე მატულობს თავისუფლებისთვის თავგანწირულად მებრძოლი ჩეჩენი ხალხით აღფრთოვანება და, პირიქით, იზრდება საზოგადოების აღშფოთება რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიმართ. ჩეჩნეთის საკითხი გამოტანილია პრაქტიკულად ყველა წამყვანი გაზეთის პირველ გვერდზე; ჟურნალისტები, შეიძლება ითქვას, ნადირობენ ჩეჩნეთთან დაკავშირებულ მასალებზე, გამუდმებით დასდევენ ყველას, ვინც კი შეიძლება რაიმე ინფორმაციას ფლობდეს ჩეჩნეთისა და ზოგადად კავკასიის შესახებ.

ამის დასტურია ისიც, რომ იმავე დღეს 12 საათზე ვენის ცენტრალურ მოედანზე, ავსტრიის პრეზიდენტისა და კანცლერის რეზიდენციების მახლობლად, ჰაბსბურგების ყოფილი სამეფო რეზიდენციის - ჰოფბურგის სასახლის წინ (სადაც სწორედ ეუთო-ს საგანგებო შეკრება გაიმართა), შედგა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადამიანის უფლებათა დამცველებმა, ჩეჩნეთის მხარდამჭერმა მოქალაქეებმა, ავსტრიაში მცხოვრებმა ჩეჩნებმა, ქართველებმა და საქართველოდან წასულმა ებრაელებმა. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან ადგილობრივი კანონების თანახმად ქუჩის აქციებზე განაცხადის გაკეთების უფლება ეძლევათ მხოლოდ ავსტრიაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, აქციის ორგანიზატორის ფუნქცია იკისრა ოფიციალურმა არჩევითმა ორგანომ - ავსტრიის ახალგაზრდულმა პარლამენტმა.

საპროტესტო აქციის მონაწილე და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, - მათ შორის, "ჰიუმან რაითს ვოთჩ"-მა, ჰელსინკის ფედერაციამ, საერთაშორისო ასოციაციამ "კავკასია" და მისმა წარმომადგენლობამ ინგლისში და სხვებმა - ეუთო-ს წევრ სახელმწიფოთა დელეგაციებს გაუგზავნეს საპროტესტო მიმართვები, ჩეჩნეთის მოვლენათა ამსახველი დოკუმენტების პაკეტები. წინა დღეებში გავრცელდა 30 ათასზე მეტი საპროტესტო პროკლამაცია, რომლის ერთ გვერდზე მოკლედაა მოთხრობილი ჩეჩნეთის ისტორია მე-19 საუკუნიდან დღემდე და მოყვანილია მიმდინარე საომარ მოქმედებათა შედეგების ამსახველი მონაცემები; ფურცლის მეორე გვერდზე ჩამოყალიბებულია აქციის მონაწილეთა მოთხოვნები - "შეწყდეს ჩეჩენი ხალხის გენოციდი! შეწყდეს რუსეთის არმიის აგრესია ჩეჩნეთში!" ხოლო თავად აქციაზე ამ მოწოდებებთან ერთად დომინირებდა კიდევ ერთი - "თავისუფლება ჩეჩნეთს! მოვითხოვთ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის აღიარებას!"

საგულისხმოა, რომ უკანასკნელ დროს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის საკითხი სულ უფრო ხშირად ხდება არა მხოლოდ ფართო საზოგადოების, არამედ პოლიტიკოსების მსჯელობის საგანი. თუკი სულ ცოტა ხნის წინ საინფორმაციო საშუალებები ჩეჩნეთის კრიზისს ცალსახად განიხილავდნენ რუსეთის საშინაო საქმედ, მოგვიანებით ეს ფორმულა ახლით შეიცვალა - მართალია ეს რუსეთის საქმეა, მაგრამ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების გამო კონფლიქტმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. თუკი მხედველობაში მივიღებთ ყველაზე ავტორიტეტულ გამოცემათა ფურცლებზე უკანასკნელ დღეებში გამოთქმულ მოსაზრებებს, უკვე აშკარად ისახება ახალი ტენდენცია. ზოგი პოლიტოლოგი პირდაპირ მიუთითებს ჩეჩნეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობაზე.

მაგალითად, ევროპის ერთ-ერთი წამყვანი გაზეთი "შპიგელი" (N2, 1995; გვ.126), რომელიც სისტემატურად რამდენიმე გვერდს უთმობს ჩეჩნეთისა და კავკასიის საკითხებს, აქვეყნებს საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტული სპეციალისტის, მხცოვანი გერმანელი პროფესორის სეიფერტის წერილს, რომელშიც ავტორი, იურიდიული არგუმენტების საფუძველზე, საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ყველა აუცილებელი ნორმის გათვალისწინებით, ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია არის დამოუკიდებელი სამართალ-სუბიექტი.

მის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩეჩნეთმა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა ჯერ კიდევ სსრკ-ს არსებობის დროს - 1991 წლის 2 ნოემბერს, მაშინ, როდესაც დოკუმენტი საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ დათარიღებულია იმავე წლის 21 დეკემბრის რიცხვით. ე.ი. ჩეჩნეთი გამოვიდა არა რუსეთის შემადგენლობიდან, არამედ ამჟამად უკვე არარსებული სამართალ-სუბიექტის შემადგენლობიდან და ამდენად მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება არ შელახავს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენის მხრივ კი დავამატებდით - თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი აღნიშნულ დროს ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, სეიფერტის მტკიცება აბსოლუტური ჭეშმარიტების სახეს იძენს. ამასთან, გერმანელი პროფესორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ჩეჩნეთის მოსახლეობას მონაწილეობა არ მიუღია რუსეთის ტერიტორიაზე ჩატარებულ არც ერთ პლებისციტში, იქნებოდა ეს პრეზიდენტის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნები თუ რეფერენდუმი.

საგულისხმოა, რომ მსგავსი არგუმენტები სულ უფრო მეტად მკვიდრდება მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებში და ეს გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთი სერიოზულ ინტერესს იჩენს კავკასიის მიმართ და, შესაძლოა, ახლო მომავალში ჩვენს რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოწმენი გავხდეთ. სხვა საკითხია, მზადაა თუ არა საქართველო ამ ახალი რეალობისთვის.

TAVISUPALI SAKARTVELO N2 (62)

# IN BRIEF

## Georgian Helsinki Union Address

### To the Peoples and the Governments of the World.

In order to strengthen its military and strategic positions in the Caucasus, Russia's imperial government has drowned the heroic people of the Chechen Republic of Ichkeria in blood.

As a result of Russia's barbaric military aggression 18.000 peaceful citizens have already been killed. Hundreds of thousand are left without a shelter, the city of Grozny is totally destroyed. The war is being waged against entire Chechen population which is nothing but a purposeful genocide.

Proceeding from the UN Charter, International Pact on Civil and Political Rights, Final Act of Helsinki Summit, main Provisions of the Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples.

We address you, the Peoples and Governments of the Civilized World: not to allow the heroic Chechen People and their much suffered motherland to become a prey of bloodthirsty Russian regime, to recognize the independence declared on November 2, 1991, by the popularly elected Parliament of the Chechen Republic of Ichkeria, do not disregard universally acknowledged principles on the Rights of Nations. Taking into account that the independence of the Chechen Republic of Ichkeria was declared proceeding from the will of the Chechen People expressed at the Parliamentary and Presidential elections of October 27, 1991, i.e. right after the USSR's desintegration, while Russia was not acknowledged yet as a subject of International law and taking into consideration in any plebiscite or elections held by Russia's federal government nor has the Chechen government signed federal treaty, therefore the Chechen Republic of Ichkeria is an independent state, and its recognition by no means is infringement upon Russia's territorial integrity.

We should like to remind you that Georgia's legal Parliament in exile, (for the restoration of which the Georgian people have been struggling for 3 years) recognized the independence of the Chechen Republic de jure, at the supreme Council session, held in Grozny, on March 13, 1992.

As for the Head of Georgia's occupational, puppet regime. Eduard Shevardnadze, turned Georgia into Russia's military and strategic base from where forceful aggression against the Chechen Republic is carried out. Georgia's airports are used by Russian Air Forces to bomb the Chechen cities. Actually Shevardnadze's regime is a part of Russia's aggressive imperial policy.

We appeal to you to make an objective evaluation of the events and take a just decision and recognize state independence of the Chechen Republic of Ichkeria for the restoration of peace in the Caucasus.

Georgia's Helsinki Union
Tbilisi
January 20, 1995.

## Trial continues...

At the Court session of January 10, on the "Case of Zviad Gamsakhurdia and his supporter's" the Court Collegium, headed by Mirza Dolidze, refuted lawyer G.Mosesiani's solicitation.

None of the 37 paragraphs of the solicitation were met.

At the session of January 11, lawyer Konstantinidi was forbidden to put forward solicitation on challenge of the Court Collegium composition. The chairman declared that the lawyer did not present the issue on time and therefore the solicitation would be put on agenda at the next session, although Konstantinidi had notified the collegium the day before. Nor was discussed lawyer Mosesiani's solicitation on further investigation of the case. The lawyers declared that no motive was given by the Court for the refusal.

The solicitation on issuing additional subpoena and requesting additional material was rejected as well.

It should be pointed out that the Court has not made public the accused Omar Kochlamazashvili's evidence.

At the end of the session, the Procurator Kakha Koberidze asked for 15 days to prepare the indictment and the Court session was adjourned till January 30.

Thus, the trial with its constant violations of law and rights of the accused as well as total disregard for elementary norms is eventually coming to an end...

Nino Chechelashvili.

## Politprisoner Badri Okropiridze

Badri A.Okropiridze was born in Tbilisi, on February 28, 1963. After eight years of secondary education he graduated technical college. In 1981-83 he served in the Army. Has a wife and two children. Was detained in Kvareli on September 1.

I, Badri Okropiridze came to Kvareli together with my friends on August 22, 1992 to conduct informative rallies in the Kakheti region and unmask the illegal activities of the Shevardnadze junta and its supporters. We intended to inform people on the dispersion of peaceful rallies in Tbilisi, maltreatment of the West Georgia's population and other atrocities carried out by the Satan's faithful servitors.

Being aware that E.Shevardnadze and his advocates were the Kremlin agents pushing Georgia into the abyss, we had to put up all-out resistance against them as the Georgian nation was facing the threat of economic and physical destruction. The process is evident today. Unfortunately, we failed as Shevardnadze's mafia misinformed the population that allegedly Chechen had arrived in Kvareli to terrorize the region. For this reason it became impossible for us to remain in the city and we left for Vaziani forest, near Kvareli. Population of the region, terrorized by the "MKHEDRIONI", avoided contacts with us. Our sympathizers tried in vain to convince them that we were President's supporters and meant no harm. On August 31, we decided to leave the territory, being warned that the roads were blocked. We came out of the forest and headed towards the high-road, where we came upon the Police and "Mkhedrioni". They started shooting. To avoid bloodshed, we went back into the forest and divided into small groups to find a way out.

On September 1, 1992 I, together with a friend, was arrested and taken to Kvareli Police Department. I was beaten severely there, mainly with machine-gun butts and other heavy objects. Before taking me into my cell, they let me look into the cell next to mine. Whom I was lying there was Vakhtang Gogsadze, with blood running over his face. He could hardly breath. In fact he was wheezing. I heard him groaning all night long. On September 2, approximately at 5.30 a.m. someone shouted: "A man has died somebody call a doctor". When the doctor arrived and went into the cell, it was too late. Gogsadze was dead. Later, I saw the body with marks of torture all over it. Even the corridor walls were smeared with his blood.

In the morning of the same day, I was taken to Kvareli Police Chief's office. Tengiz Kitovani, Roman Gotsiridze and others were present. T.Kitovani, on seeing me, swore and shouted: "It's you again, you, chronic Zviadist SOB". Turning to others he said that I deserved the capital punishment, as it was not the first time he saw me detained. Roman Gotsiridze hit me on the head, saying that how many times did they have to release me. On which I said that as long as the bloody junta ruled the country and people were being arrested and killed just for expressing their ideas I would stay in the opposition.

Afterwards, I was ordered to show them the place of our camping in the forest. I told them there was not a soul there. Nevertheless, they pushed me into an armoured carrier, beating me and saying at that, that they were going to use me as a shield in case somebody was there. We entered the forest which was deserted of course. They put a TV camera into motion and started questioning me. I said that we had arrived here to conduct information rallies and the reason for our hawing arms was that we had to protect the population and ourselves somehow, from these killers. They wanted to know if the President was in the know. I told them I knew nothing about it as we had no contact with the President. The filming went on for about 40 minutes. Once in a while they would pretend there was someone in the forest and order me to lower my voice. They also collected our clothes and other objects together and filmed them too. But they seemed dissatisfied and asked the camera man, how the things were going. He responded with four-letter-words and said that he had expected more, but never to mind, as he would do his best and make it work.

Once again I was pushed into the car and brought to Kvareli Police Department where they continued to work on me.

When I was transferred to Tbilisi Investigation Centre #1, they put me into the so-called "Stoolies' block" popularly known as "Shevardnadze's block" as well. I was repeatedly beaten and tortured there and forced to confess to a crime.

At the investigator's office I was "greeted by A.Baluashvili with the following words: "You, stubborn thing, why won't you sign what we want you to sign. We will make you at the end". I repeated that I knew nothing, had done nothing and had nothing to confess to. How he reacted was: "We will see. Just you wait". That same night I was brought out of the cell and tortured.

My lips bled from blows. They kept putting a heated, sharp iron onto my shoulder and wouldn't let me alone until I agreed to sign their papers. I tried to cut my wrists that night but the boys in the cell stopped me, saying that if I wanted to make the truth public, I had to do what they told me to do and try to survive. And then, when in Court, I would be able to tell everything. People would understand and forgive. That is exactly what I did at last.

The next day, at the investigator's office I told Djindzolava that if they did not transfer me from that cell I would kill myself. My request was met.

I have not betrayed President Gamsakhurdia and the National Movement. Let them show on TV what they have recorded in the forest and not the five-minute fake they used to discredit me.

I will always remain faithful to my motherland and President.

God bless those who strive for Georgian's better future.

Badri Okropiridze
("Shoshia") 29.06. 1993

## "Everyone was Well Aware of Everything"

Stated one of the leaders of the National-Liberating Front (NLF) of Georgia Tengiz Sigua at the press-conference held in the hall of Society "Tsodna" on January 17, 1995

He said that the main goal calling this press-conference was to tell the society the truth about the NLF and refute the misinformation which is officially spread by mass media controlled by the state authorities.

Sigua clarified the objects pursued by the NLF in its action of January 13, 1995: "Peaceful way of solving Abkhazian problem reached a deadlock. Georgian people said good-bye to all hopes of peaceful resolution of the conflict.

Declarations and statement of the UN remain on paper and no actual changes are to be seen. The hopes were lost after fruitless Geneva negotiations.

Process of repatriation of Georgian refugees to Abkazia is stopped from November 17 - continued twofold ex Prime Minister. - Abkhazian party ceased handing out even those insulting for us questionnaires. Actually so far only 104 families were returned to Abkhazia. All this is indicative of inevitable failure of the peaceful process. The authorities of Georgia are trying to make Georgian people to forget Abkhazian problem just as it happened with Samachablo problem.

Sigua reminded about Dagomis Agreement on settlement Georgian-Ossetian conflict and emphasized that then also were similar promises from the authorities. (He seems to forget, that Dagomis Agreement of June 24, 1992 was signed by the unlawful authorities of Georgia the Prime Minister of which was Mr. Sigua himself). He believes that the military way is the only way to return what was forcibly taken.

"Irrespective of the fact that we on the whole support the idea of military solving of this problem, this very action was not aimed at unleashing of war actions on the territory of Abkhazia - claims Sigua. - We intended to arrive to Senaki, strengthen there our military formations and wait for the moment when the authorities at last will guess that the peaceful negotiations only would never solve the problem of Abkhazia."

As Mr. Tengiz Sigua states 1400 men were participating in this action. As for the arms the authorities themselves admitted that only 20 sub-machine guns were found in detained buses.

When asked whether the Head of the State was informed about the action of NLF Mr. Sigua answered that the security was informed about it on January 12. Mr.Avtandil Ioseliani and Mr. Jimi Mikeladze visited the headquarters of NLF and promised them to inform about everything Mr. Eduard Shevardnadze and bring his answer to the NLF. However they did not hear from the authorities at all. Some MP-s and representatives of various official bodies visited them and expressed their verbal support right before the beginning of the action. "Thus everybody was well aware of everything" - concluded Tengiz Sigua.

Nugzar Tsiklauri

## Dear reader

**Your opinion is very valuable for the further progress and development of our newspaper.**

**All your kind wishes, criticism or proposals will be gladly considered.**

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia